პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 244 (10020) | ხუთშაბათი, 14 ოქტომბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დიდმნიშვნელოვანი წვლილი შორეული აღმოსავლეთისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების საქმეში

გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტები: კომუნიკე საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოლაპარაკების შესახებ, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა ერთობლივი დეკლარაციები საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე და იაპონიასთან ურთიერთობის საკითხზე, ერთობლივი კომუნიკეები პორტ-არტურის სამხედრო-საზღვაო ბაზის საკითხზე, საბჭოთა კავშირ-ჩინეთის არსებულ შერეულ საწოგადოებათა შესახებ, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე შეთანხმების შესახებ, ლანჯოუ—ურუმჩი—ალმა-ატის რკინიგზის მშენებლობის შესახებ, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა ერთობლივი კომუნიკე ძინანიდან ულან-ბატორამდე რკინიგზის მშენებლობის შესახებ.

ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები ხელმოწერილია საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციასა, რომელიც პეკინს ჩავიდა ჩინეთის მთავრობის მიწვევით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მეხუთე წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით, და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე მოლაპარაკების შედეგად. ეს დოკუმენტები წარმოადგენენ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის მკაფიო დადასტურებას, ფასდაუდებელ წვლილს შორეული აღმოსავლეთისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების საქმეში.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებმა აღნიშნეს, რომ არსებობს შეხედულებათა სრული ერთიანობა როგორც ორივე სახელმწიფოს შორის ყოველმხრივი თანამშრომლობის დარგში, რომელიც ვითარდება, ისე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებში. ერთობლივ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ჩინელი ხალხის ისტორიული გამარჯვების შემდეგ განვლილი ხუთი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ჩამოყალიბდა ურთიერთობა, რომელიც ემყარება მჭიდრო თანამშრომლობას მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ 1950 წლის 14 თებერვლის ხელშეკრულების სრული შესაბამისობით.

„გამოცდილებამ ცხადყო, — ნათქვამია დეკლარაციაში, — საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დამყარებული თანამშრომლობის დიდი სასიცოცხლო ძალა, რაც მშვიდობისა და უშიშროების საიმედო დასაყრდენია შორეულ აღმოსავლეთში და მნიშვნელოვანი ფაქტორია საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

საბჭოთა კავშირის მთავრობა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა აცხადებენ, რომ სსრ კავშირსა და ჩინეთს შორის ჩამოყალიბებული მეგობრული ურთიერთობა ორივე სახელმწიფოს შორის შემდგომში მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველია თანასწორუფლებიანობის, ურთიერთსარგებლობის, სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ურთიერთპატივისცემის პრინციპების შესაბამისად“.

როგორც აღნიშნულია დეკლარაციაში, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობები ერთსულოვანი არიან თავიანთ მისწრაფებებში და კვლავ მიიღებენ მონაწილეობას ყველა საერთაშორისო მოქმედებაში, რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება, და კონსულტაციას გაუწევენ ერთმანეთს ყოველთვის, როცა წამოიჭრება ისეთი საკითხები, რომლებიც შეეხება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საერთო ინტერესებს, რათა შეთანხმონ თავიანთი მოქმედება, რომლის მიზანია სსრ კავშირისა და ჩინეთის უშიშროების უზრუნველყოფა, მშვიდობის შენარჩუნება შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში.

დეკლარაცია ხაზგასმით აღნიშნავს ჟენევის თათბირის დიდ საერთაშორისო მნიშვნელობას, რომელსაც მოჰყვა სამარი მოქმედების შეწყვეტა ინდოჩინეთში და რომელმაც შესაძლებელი გახადა მოწესრიგებულიყო მდგომარეობა ინდოჩინეთში ამ რაიონის ხალხთა კანონიერი ეროვნული ინტერესების შესაბამისად. ამ თათბირმა ცხადყო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის საქმისათვის მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების განხილვაში ყველა დიდი სახელმწიფოს მონაწილეობას, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება მთავარ პასუხისმგებლობას აკისრებს საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

თვითეული მიუკერძებელი ადამიანისათვის ცხადია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ობსტრუქციონისტული პოლიტიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სახალხო ჩინეთის კანონიერ უფლებათა მიმართ, აგრესიის პირდაპირი აქტები, რასაც შეერთებული შტატები სჩადიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, და განსაკუთრებით ჩინეთის ტერიტორიის ნაწილის — კუნძულ ტაივანის ოკუპაცია ამერიკის შეერთებული ძალების მიერ, რაც გრძელდება, აგრეთვე ჩინელი ხალხისადმი მტრული ჩან კაი-შის ხროვის სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერა შეუთავსებელია შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის შენარჩუნებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ამოცანებთან.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებს არანორმალურად მიაჩნიათ ისეთი მდგომარეობა, როცა კორეა კვლავ გაყოფილია ორ ნაწილად, მიუხედავად იმისა, რომ კორეელი ხალხი ბუნებრივად ესწრაფვის კორეის ერთიან, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიულ სახელმწიფოდ ეროვნულ გაერთიანებას. ორივე სახელმწიფოს მთავრობებს საჭიროდ მიაჩნიათ უახლოეს მომავალში მოწვეონ კონფერენცია კორეის საკითხზე დაინტერესებულ სახელმწიფოთა ფართო მონაწილეობით და ფიქრობენ, რომ კორეის გაერთიანება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომლის გადაჭრასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მშვიდობის განმტკიცებისათვის შორეულ აღმოსავლეთში.

„პრავდის“ 13 ოქტომბრის მოწვინავე

საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გადაჭრით გმობენ ავრესიული სამხედრო ბლოკის შექმნას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რადგან ამ ბლოკს საფუძვლად უდევს მისი ინიციატორების და პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური მიზნები. ეს ბლოკი მიმართულია უწინარეს ყოვლისა აზიის ქვეყნების უშიშროებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, მშვიდობის ინტერესების წინააღმდეგ აზიასა და წყნარი ოკეანის აუზში. სწორედ ამიტომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის აგრესიული ბლოკი უარყვეს ამ რაიონის ისეთმა დიდმნიშვნელოვანმა ქვეყნებმა, როგორიც არიან ინდოეთი, ბირმა, ინდონეზია და სხვები, რომლებმაც სამართლიანად მიიჩნიეს იგი პირდაპირ საფრთხედ თავიანთი ეროვნული უშიშროებისათვის.

საბჭოთა კავშირს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას საჭიროდ მიაჩნიათ განაცხადონ, რომ თავიანთ ურთიერთობას აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებთან, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებთან კვლავაც ააგებენ სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთ პატივისცემის, ურთიერთ თავდაუსხმელობის, საშინაო საქმეებში ურთიერთ ჩაურევლობის, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების მტკიცედ დაცვის საფუძველზე, რაც ნაყოფიერი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ფართო შესაძლებლობას ქმნის. ამ პრინციპებზე დამყარებული პოლიტიკა, როგორც აღნიშნულია დეკლარაციაში, „შეესაბამება ყველა ხალხისა და მათ შორის აზიის იმ ხალხების ძირეულ ინტერესს, რომელთა უშიშროება და კეთილდღეობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ მშვიდობის დაცვის საქმეში სახელმწიფოების ერთობლივ ღონისძიებათა საფუძველზე“.

საბჭოთა მთავრობა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა თავის მხრივ ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების, მათ შორის იმ პრობლემების მოწესრიგებას, რომლებიც აზიას შეეხება.

აზიის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემა ამჟამად, უეჭველია, იაპონიის მდგომარეობაა. ეს მდგომარეობა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხებს უქმნის კანონიერ შიშს, რომ იაპონია შეიძლება გამოყენებულ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ გეგმებში, რომლებიც უცხოა როგორც იაპონელი ხალხის ინტერესებისათვის, ისე შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის შენარჩუნების ამოცანისათვის.

სსრ კავშირის მთავრობისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივ დეკლარაციაში იაპონიასთან ურთიერთობის შესახებ ზედმიწევნით გამოვლინებულია მიზეზები, რამაც ახლანდელ მდგომარეობამდე მიიყვანა ეს ქვეყანა, რომელიც ომის დამთავრებიდან ცხრა წლის შემდეგ აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ნახევრადოკუპირებული ქვეყნის მდგომარეობაში, და ჩამოყალიბებულია პრინციპები, რომლებითაც ორივე სახელმწიფო ხელმძღვანელობს თავიანთ ურთიერთობაში იაპონიასთან.

ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ იაპონიას, როგორც ეს გათვალისწინებული იყო პოტსდამის შეთანხმებით, უნდა მიეღო სრული ეროვნული დამოუკიდებლობა, შეექმნა თავისი დემოკრატიული ინსტიტუტები, განევითარებინა თავისი დამოუკიდებელი სამშვიდობო ეკონომიკა და ეროვნული კულტურა. მაგრამ ეს ამოცანები შეუსრულებელი აღმოჩნდა, რადგან შეერთებულმა შტატებმა — მთავარმა მოოკუპირებელმა სახელმწიფომ იაპონიაში, რომელსაც ეკისრებოდა ძირითადი პასუხისმგებლობა პოტსდამის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, — უხეშად დაარღვიეს ეს გადაწყვეტილებანი. იაპონელი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იაპონიას თავს მოახვიეს სან-ფრანცისკოს „საზავო ხელშეკრულება“ და მთელი რიგი სხვა შეთანხმებანი, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება პოტსდამის შეთანხმებას.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხები ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ იაპონიასა და იაპონელ ხალხს, რომელიც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების დიქტატის შედეგად. ამასთან საბჭოთა და ჩინელ ხალხებს სჯერათ, რომ იაპონელი ხალხი იპოვნის საკმაო ძალას, რათა დაადგეს უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისა და თავის სამშობლოს აღორძინების გზას, სხვა სახელმწიფოებთან და უწინარეს ყოვლისა თავის მეზობლებთან ნორმალური ურთიერთობის, ფართო ეკონომიური თანამშრომლობისა და კულტურული კავშირის დამყარების გზას.

„საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობები, — ნათქვამია დეკლარაციაში, — თავიანთ პოლიტიკაში იაპონიის მიმართ ემყარებიან სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა, რაკი დარწმუნებული არიან, რომ ეს შეესაბამება ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. ისინი ემხრობიან იაპონიასთან ფართო სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას ურთიერთსასარგებლო პირობებით, მასთან მჭიდრო კულტურული ურთიერთობის დამყარებას.

ისინი აცხადებენ აგრეთვე, რომ მზად არიან გადადგან ნაბიჯები იაპონიასთან თავიანთი ურთიერთობის ნორმალიზაციის მიზნით და აცხადებენ, რომ იაპონიას სავსებით დაუპერენ მზარს თავის მისწრაფებაში — დაამყაროს პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა სსრ კავშირთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, ისევე როგორც სავსებით დაუპერენ მზარს მის ყოველ ნაბიჯს, რომლის მიზანი იქნება მისი მშვიდობიანი და დამოუკიდებელი განვითარების პირობათა უზრუნველყოფა“.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობების ერთობლივი დეკლარაციები საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე და, კერძოდ, აზიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე ასახავენ საბჭოთა და ჩინელი ხალხების ძმური თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას მათს საერთო ბრძოლაში ახალი ომის საფრთხისაგან კაცობრიობის გადასარჩენად.

საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის დამყარებული და სულ უფრო მზარდი მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის ახალი მკაფიო გამოვლინებაა შეთანხმება პორტ-არტურის საკითხზე და მთელი რიგი შეთანხმებანი ეკონომიურ საკითხებზე.

შეთანხმება პორტ-არტურის შესახებ ითვალისწინებს საბჭოთა სამხედრო ნაწილების გამოყვანას ამ სამხედრო-საზღვაო ბაზიდან, რომელსაც ერთობლივად იყენებენ საბჭოთა კავშირი და ჩინეთი ორივე სახელმწიფოს უშიშროების ინტერესებისათვის. ეს აქტი შედეგია შორეულ აღმოსავლეთში საერთაშორისო ვითარების შეცვლისა იმასთან დაკავშირებით, რომ შეწყდა ომი კორეაში და აღდგენილ იქნა მშვიდობა ინდოჩინეთში, აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, რომ განმტკიცდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობა და კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობა და თანამშრომლობა.

შეთანხმება პორტ-არტურის შესახებ დიდმნიშვნელოვანი აქტია, რომელიც შესაძლებელია სახელმწიფოთა შორის მხოლოდ იმ ახალი, სოციალისტური ურთიერთობის პირობებში, რომელიც აგებულია თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის, ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის პრინციპებზე.

მეორე შეთანხმება, რომელიც ემყარება სახელმწიფოთა შორის სოციალისტური თანამშრომლობის პრინციპებს, არის შეთანხმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის საბჭოთა კავშირ-ჩინეთის შერეულ საწოგადოებებში მონაწილეობის საბჭოთა წილის გადაცემის შესახებ, რომლებიც შეიქმნა 1950 და 1951 წლებში. გამოიყენეს რა სამეურნეო მშენებლობის მოწინავე საბჭოთა გამოცდილება, ამ შერეულმა საწოგადოებებმა თავიანთი დადებითი როლი შეასრულეს და გარკვეული წვლილი შეიტანეს ჩინეთის ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების საქმეში. ახლა სახალხო ჩინეთი, რომელმაც აღადგინა თავისი მეურნეობა, წარმატებით ასრულებს პირველ ხუთწლიან გეგმას, ჩინეთის სამეურნეო ორგანიზაციებმა საჭირო გამოცდილება შეიძინეს და თვითონ შეუძლიათ განაგონ შერეულ საწოგადოებებში შემავალ საწარმოთა საქმიანობა. 1955 წლის 1 იანვრიდან შერეულ საწოგადოებებში მონაწილეობის საბჭოთა წილი მთლიანად გადაეცემა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას.

საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ურთიერთ ეკონომიური და კულტურული კავშირის განმტკიცების საქმეში ახალი დიდმნიშვნელოვანი წვლილია შეთანხმება მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობაზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გამოცდილების გაცვლის გზით. ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განმტკიცების ამავე მიზნებს ემსახურება საბჭოთა კავშირ-ჩინეთის შეთანხმება ლანჯოუ—ურუმჩი—ალმა-ატის რკინიგზის მშენებლობის შესახებ და საბჭოთა კავშირ—ჩინეთ—მონღოლეთის შეთანხმება ძინინიდან ულან-ბატორამდე რკინიგზის მშენებლობისა და ამ გზებზე პირდაპირი მიმოსვლის მოწყობის შესახებ.

გარდა ამისა, ხელმოწერილ იქნა შეთანხმება სსრ კავშირის მთავრობის მიერ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისათვის 520 მილიონი მანეთი გრძელვადიანი კრედიტის მიცემის შესახებ და ოქმი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისადმი სსრ კავშირის მთავრობის დახმარების აღმოჩენის შესახებ დამატებით 15 სამრეწველო საწარმოს მშენებლობაში და წინათ ხელმოწერილ შეთანხმებაში გათვალისწინებული 141 საწარმოსათვის მოწყობილობის მიწოდების მოცულობის გადიდების შესახებ; სსრ კავშირიდან მოწყობილობის დამატებითი მიწოდების საერთო ღირებულება აღემატება 400 მილიონ მანეთს. ამ შეთანხმებათა მნიშვნელობა ფასდაუდებელია.

დღეს „პრავდაში“ იბეჭდება საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წერილი იმის შესახებ, რომ ჩინელ ხალხს საბჭოთა ხალხისაგან საჩუქრად გადაეცეს ტექნიკა და მოწყობილობა მარცვლეულის დიდი სახელმწიფო მეურნეობის მოსაწყობად და თავმჯდომარე მაო ძე-დუნის საპასუხო წერილი ამის თაობაზე.

ასეთია დოკუმენტები, რომლებიც ცხადყოფენ სახელმწიფოთა შორის ახალი, სოციალისტური ურთიერთობის უდიდეს ძალას. ეს დოკუმენტები მოწმობენ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდ მეგობრობას და ნაყოფიერ თანამშრომლობას თავიანთი ქვეყნების ხალხების საკეთილდღეოდ, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად მიესალმება ამ ისტორიულ დოკუმენტებს, როგორც თავის ჩინელ ძმასთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების ახალ ნიშანსვეტს. პეკინში საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოლაპარაკების შედეგებს, რომლებიც ეს-ეს არის გამოქვეყნდა, უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, რომელსაც ეს შედეგები მიაჩნიათ მშვიდობისა და უშიშროების შემდგომი განმტკიცების საქმეში შეტანილ ახალ დიდმნიშვნელოვან წვლილად.

საბჭოთა ქვეყანა და სახალხო ჩინეთი მხარდამხარ, მჭიდრო ძმური კავშირით კვლავაც ივლიან წინ ეკონომიური და კულტურული პროგრესის გზით, ყველა ქვეყანასთან მეგობრული ურთიერთობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის განმტკიცების გზით, დაიცავენ მშვიდობისა და უშიშროების საქმეს შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წერილი

იმის შესახებ, რომ ჩინელ ხალხს საბჭოთა ხალხისაგან საჩუქრად გადაეცემა ტექნიკა და მოწყობილობა მარცვლეულის მსხვილი სახელმწიფო მეურნეობის მოსაწყობად

ძვირფასო ამხანაგო მაო ძე-დუნ!

ამჟამად საბჭოთა კავშირში ხორციელდება ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების ფართო პროგრამა, რათა მნიშვნელოვნად გადიდდეს მარცვლეულის წარმოება და ამ ბაზაზე განვითარდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგი. როგორც ყამირი მიწების მასობრივი ათვისების გამოცდილება ცხადყოფს, ამ მუშაობის განხორციელების ყველაზე მიზანშეწონილი ფორმაა მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების მოწყობა.

ვითვალისწინებთ რა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იწყება მუშაობა ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად, და გვსურს რა გადავცეთ გამოცდილება, რომელიც ამ საქმეში საბჭოთა კავშირმა შეიძინა, ჩინელი და საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობის ნიშნად და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მეხუთე წლისთავის აღსანიშნავად გთხოვთ მიიღოთ საბჭოთა ხალხისაგან საჩუქრად ჩინელი ხალხისადმი მოწყობილობა და ტექნიკა, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მოეწყოს მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა 20 ათასი ჰექტარი ნათესი ფართობით.

მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის აღჭურვისათვის გამოყოფილია: მუხლუხა ტრაქტორები „ს-80“ — 30 ცალი, მუხლუხა ტრაქტორები „დტ-54“ — 64 ცალი, სათოხნი ტრაქტორები „ბელარუსი“ — 4, მარცვლეულის კომბაინები — 100, სატვირთო ავტომობილები — 30, ბენზინსაზიდები — 4; ავტოსაწვავჩასასხმელები — 4, ავტომძრავი სახელოსნოები — 2, მსუბუქი ავტომობილები — 9, ეტლიანი მოტოციკლები — 10, ერთღერძიანი ავტომისაბმელები — 6, ორღერძიანი ავტომისაბმელები — 8, ტრაქტორის გუთნები — 128, ტრაქტორის მარცვლეულის სათესები — 120, კულტივატორები და საოშავები — 100, ფარცხები — 1.600, მარცვალსაწმენდი მანქანები — 16, თივის ასაღები მანქანები — 16, სხვადასხვა ჩარჩენი ტრაქტორი სასოფლო მოსაწყობად — 14, ელექტრომესაღუღებელი მოწყობილობა — 2 კომპლექტი, 220 კილოვატი ელექტროსადგურის მოწყობილობა, სხვადასხვა მარკის რადიოსადგურები — 13, ტელეფონის სადგური ასი ნომრისათვის და მოძრავი კინოდანადგარი.

მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის მშენებლობასა და ათვისებაში ორგანიზაციული და ტექნიკური დახმარების გასაწევად მზად ვართ გამოვგზავნოთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის ორგანიზაციის პერიოდში და წარმოების ათვისების პირველ წელს მრჩევლებად საბჭოთა სპეციალისტები — საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, მთავარი აგრონომი, მთავარი ინჟინერ-მექანიკოსი, სარემონტო სახელოსნოს გამგე, განყოფილებათა აგრონომები და მექანიკოსები და მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ბუხჰალტერი, რათა ჩინელმა მუშაკებმა, რომლებიც სათავეში ჩაუდგებიან მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობას საბჭოთა სპეციალისტებთან ერთად, უმოკლეს ვადაში აითვისონ მარცვლეულის მსხვილი მეურნეობის მართვის ტექნიკა და სისტემა.

აღნიშნულ სპეციალისტთა შენახვის ხარჯებს საბჭოთა კავშირი თვითონ კისრულობს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ მარცვლეულის ასეთი საბჭოთა მეურნეობის მოწყობა დაეხმარება ჩინეთის სოფლის მეურნეობას გამოიყენოს საბჭოთა კავშირის გამოცდილება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად და ხელს შეუწყობს საბჭოთა და ჩინელი ხალხების მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეს.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია.

1954 წლის 12 ოქტომბერი.

თავმჯდომარე მაო ძე-დუნის საპასუხო წერილი

იმის შესახებ, რომ ჩინელ ხალხს საბჭოთა ხალხისაგან საჩუქრად გადაეცემა ტექნიკა და მოწყობილობა მარცვლეულის მსხვილი სახელმწიფო მეურნეობის მოსაწყობად

ძვირფასო ამხანაგო ხრუშჩოვ და საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრებო!

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მეხუთე წლისთავზე საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია საბჭოთა ხალხის სახელით საჩუქრად აძლევს ჩინელ ხალხს მოწყობილობასა და ტექნიკას, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მოეწყოს მარცვლეულის სახელმწიფო მეურნეობა 20 ათასი ჰექტარი ნათესი ფართობით. მარცვლეულის სახელმწიფო მეურნეობის ორგანიზაციის პერიოდში და წარმოების ათვისების პირველ წელს საბჭოთა მთავრობა მარცვლეულის სახელმწიფო მეურნეობის მშენებლობასა და ათვისებაში ორგანიზაციული და ტექნიკური დახმარების გასაწევად მზად არის გამოგზავნოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მრჩევლებად სპეციალისტები, რათა ჩინელმა მუშაკებმა, რომლებიც სათავეში ჩაუდგებიან მარცვლეულის სახელმწიფო მეურნეობას, საბჭოთა სპეციალისტებთან ერთად უმოკლეს ვადაში აითვისონ მარცვლეულის მსხვილი მეურნეობის მართვის ტექნიკა და სისტემა.

პატივი მაქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩინელი ხალხის სახელით მხურვალედ მივესალმო და გულითადი მადლობა ვუძღვნა საბჭოთა მთავრობასა და ხალხს ამ მნიშვნელოვანი, დიდი, მეგობრული დახმარებისათვის.

ეჭვეველია, რომ მარცვლეულის ეს სახელმწიფო მეურნეობა არა მარტო დიდმნიშვნელოვან სანიმუშო როლს შეასრულებს იმ მხრივ, რომ წინ წაიწიოს ჩინეთის სოფლის მეურნეობის სოციალისტურმა გარდაქმნამ, არამედ აგრეთვე დაეხმარება ჩინეთს მომაზადოს ტექნიკური კადრები სოფლის მეურნეობისათვის და შეისწავლოს საბჭოთა კავშირის ძვირფასი გამოცდილება ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში. ჩინელ ხალხს საბჭოთა ხალხის ეს დიდსულოვანი დახმარება მიაჩნია ჩინელი ხალხისადმი საბჭოთა ხალხის დიდი მეგობრობის, მისი ზრუნვისა და იმ მშენებლობის საქმისათვის მხარდაჭერის კიდევ ერთ გამოვლინებად, რომელსაც ჩინელი ხალხი ეწევა.

გაუმარჯოს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის დიდ, ძმურ მეგობრობას!

მაო ძე-დუნი.

1954 წლის 12 ოქტომბერი.

ამხანაგ მიხეილ გიორგის-ძე

პერვუხინს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, თქვენი ორმოცდაათი წლისთავის დღეს.

გისურვებთ ჩვენო მეგობარო და ამხანაგო, ძვირფასო მიხეილ გიორგის-ძევ, მრავალ წელს ჯანმრთელობასა და შემდგომ წარმატებით მუშაობას საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხანაგ მ. გ. პერვუხინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხანაგ მ. გ. პერვუხინის დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურების გამო, დაჯილდოებულ იქნას ამხანაგი მიხეილ გიორგის-ძე **პერვუხინი ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ნ. პეგოვი

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 13 ოქტომბერი.

ბერლინიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია

13 ოქტომბერს მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელიც ბერლინს გაემგზავრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეხუთე წლისთავის დღესასწაულზე. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ამხ. ა. ნ. ნესმეიანოვი, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ო. ი. ივაშჩენკო. (საკდესი).

ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებმა შეასრულეს საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა

ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებმა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა, ახორციელებენ რა მარცვლეულის წარმოების გადიდების ამოცანას, წარმატებით შეასრულეს საშემოდგომო თესვა. საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა კოლმეურნეობებში 10 ოქტომბრისათვის შესრულებულია 101,3 პროცენტით.

საძრეთის მთელ რიგ რაიონებში საშემოდგომო თესვა გრძელდება. ყველგან გრძელდება მინდვრების ხვნა მომავალი წლის საგაზაფხულო კულტურების ნათესებისათვის (საკდესი).

წერილების გაცვლა საბჭოთა მთავრობის დელეგაციასა და მაო ძე-დუნს შორის იმასთან დაკავშირებით, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას საჩუქრად გადაეცა პეკინში საბჭოთა გამოფენის ექსპონატები

პეკინი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ ჩინეთში საბჭოთა მთავრობის სახელით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას საჩუქრად გადასცა 83 ჩარხი და სასოფლო-სამეურნეო მანქანა, რომლებიც წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ მიღწევათა გამოფენაზე პეკინში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაურს ნ. ს. ხრუშჩოვს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მადლობას უხდის ამ საჩუქრისათვის.

თავმჯდომარის მაო ძე-დუნისადმი საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წერილში ამ საჩუქრის გადაცემის შესახებ ნათქვამია:

„ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს ამხანაგ მაო ძე-დუნს.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციას პატივი აქვს გაცნობოთ თქვენ, რომ სსრ კავშირის მთავრობამ მეგობრობის ნიშნად გადაწყვიტა საჩუქრად უძღვნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას ჩარხები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები, რომლებიც ექსპონირებულია საბჭოთა გამოფენაზე ქალაქ პეკინში, თანდართული სიის შესაბამისად.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია.

1954 წლის 5 ოქტომბერი“.

თავმჯდომარე მაო ძე-დუნის საპასუხო წერილში ნათქვამია:

„ძვირფასო ამხანაგო ხრუშჩოვ და საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ამხანაგო წევრებო.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ 1954 წლის 5 ოქტომბრის წერილში მაცნობა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის გადაწყვეტილება საჩუქრად გადასცეს ჩვენს ქვეყანას სულ 83 ჩარხი და სასოფლო-სამეურნეო მანქანა, რომლებიც ექსპონირებულია საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ მიღწევათა გამოფენაზე ქალაქ პეკინში. ნება მომეცით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩინელი ხალხის სახელით გულითადი მადლობა გადავუხადო სსრ კავშირის მთავრობას. ჩინელი ხალხი ამ გულუხვ საჩუქარს მიიჩნევს როგორც ჩინელი ხალხისადმი საბჭოთა ხალხის გულწრფელი მეგობრობის კონკრეტულ გამოხატულებას.

მაო ძე-დუნი, 1954 წლის 12 ოქტომბერი, პეკინი“.

პეკინიდან გამოემგზავრა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია

პეკინი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს პეკინიდან გაემგზავრა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელიც ჩინეთში იმყოფებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მეხუთე წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით.

პეკინის აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ალმებით, საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. მიქოიანი და საბჭოთა მთავრობის დელეგაციის სხვა წევრები გააცილეს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილემ ჯუ დემ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა და სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ ლიუ შაო-ციმ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა და სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა და სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილემ ჩენ იუნმა, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა და სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლინ ბო ძიუმ, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებმა ლი ძი-შენმა, შენ ძიუნ-ჟუმ, გო მო-ჟომ, ხუან იან-პეიმ, პინ ჯენმა, ლი ვეი-ხანმა, ჩენ შუ-ტუნმა, დალაილამამ, საიფუდინმა, სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილეებმა პინ დე-ხუაიმ, დენ სიაო-პინმა, დენ ძი-ხუეიმ, ხე ლუნმა, ულანფუმ, ლი ფუ-ჩუნმა, ლი სიან-ნიანმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს გენერალურმა მდივანმა სი ჯუნ-სიუნმა, მინისტრებმა სე ძიუე-ძაიმ, ლო ჟუი-ცინმა, ში ლიანმა, ბო ი-ბომ, ჯან ნაი-ციმ, ძენ შანმა, ე ძი-ჯუანმა, ვან ხე-შოუმ, ხუან ძინმა, ძია ტო-ფუმ, ლიან სიმ, ჯან ბო-ძიუნმა, ჩენ იუიმ, ჯან სი-ჟომ, ლი დე-ციუანმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა ლი კე-ნუნმა, ჯან ხან-ფუმ, უ სიუ-ციუანმა, უმაღლესი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ დუნ ბი-უმ, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებმა ნე ჟუნ-ჯენმა, ე ძიან-ინმა, ჩენ ციანმა, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ სუ იუიმ, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ უ იუი-ჯანმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პროფკავშირული, ახალგაზრდობის, ქალთა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პეკინის კულტურული წრეების წარმომადგენლებმა. საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია გააცილეს აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. თ. იუდინმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს მუშაკებმა, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ალბანეთის მთავრობების დელეგაციების ხელმძღვანელებმა და წევრებმა, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფებიან, პეკინში აკრედიტებული უცხოეთის საელჩოებისა და მისიების მეთაურებმა და თანამშრომლებმა, ჩინელმა და უცხოელმა ჟურნალისტებმა.

დელეგაციის გასაცილებლად პეკინის აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. შესრულებულ იქნა სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. აეროდრომზე განცხადება გააკეთა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

„ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენო ახლო მეგობრებო!

ტოვებს რა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელოვან დედაქალაქს — პეკინს, ჩვენს დელეგაციას თავის მოვალეობად მიაჩნია გამოთქვას დიდი მადლობა იმ უდიდესი ყურადღებისა და გულითადი სტუმართმოყვარეობისათვის, რასაც ვხვდებოდით ყველგან, სადაც იყო საბჭოთა დელეგაცია.

სიყვარულისა და პატივისცემის ეს გულწრფელი გრძნობები ჩვენ, ბუნებრივია, მიგვაჩნია ჩვენი დიდი ხალხების ძმური მეგობრობის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის განუყრელი კავშირის ერთ-ერთ გამოვლინებად. დღითიდღე იზრდება და მტკიცდება ეს კეთილნაყოფიერი მეგობრობა. განვლილმა ხუთმა წელმა ცხადყო, რომ რაც უფრო მტკიცეა ჩვენი მეგობრობა და ძმური ურთიერთდახმარება, მით უფრო ძლიერი ხდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, მით უფრო ძლიერია მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ნანაკი.

თავისი მშვიდობიანი განვითარების ხუთი წლის მანძილზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით ჭეშმარიტად გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწია. ეს ჩვენ ვნახეთ ყველგან ჩინეთში ყოფნის დროს. ახლა, როგორც არასდროს, ჩინელი ხალხი დარაზმულია და დაუშრეტელი ენთუზიაზმით განამტკიცებს თავის სახალხო სახელმწიფოს, დემოკრატიულ საწყისებზე გარდაქმნის რა ჩინეთის მთელ ცხოვრებას.

გამარჯვებები, რომლებიც მოიპოვა და რომლებსაც აღწევს ჩინელი ხალხი, მიდის რა სოციალისტური გარდაქმნების გზით, — ეს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მთელი ბანაკის გამარჯვებებია, რადგან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განმტკიცება და მისი ძალების ზრდა ამასთან ერთად ნიშნავს ჩვენი საერთო ძალების ზრდას, ხელს უწყობს ომის საფრთხის თავიდან აცილებას.

სასიამოვნო და სასიხარულოა აღინიშნოს, რომ მოკლე დროში, რაც ჩვენი დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფება, სრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიღწეულია გადაწყვეტილებანი ყველა განხილულ საკითხზე, დადებულია შეთანხმებები, რომელთა მიზანია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხების კეთილდღეობა და ბედნიერება, ჩვენი ურღვევი მეგობრობის შემდგომი განვითარება და განმტკიცება, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცება. ერთმანეთისადმი ღრმა პატივისცემის, ძმური ზრუნვისა და ურთიერთდახმარების პრინციპები უდევს საფუძვლად ამ შეთანხმებებს. ამიტომ ამ შეთანხმებებს დიდი კმაყოფილებით მიიღებენ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხები, რომლებიც სხვა ხალხებთან თავიანთ ურთიერთდამოკიდებულებას აშენებენ ამ ხალხების სასიცოცხლო ინტერესების სრული პატივისცემის საფუძველზე.

აზრთა ურთიერთგაცვლამ, ჩვენმა ერთობლივმა ნაყოფიერმა მუშაობამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის არსებობს სრული ურთიერთგაგება ჩვენი შემდგომი განვითარების ყველა საკითხში, ყველა საერთაშორისო საკითხში.

მივდივართ რა პეკინიდან, კიდევ უფრო დიდი რწმენით განვაგრძობთ ჩვენს საერთო საქმეს, რომლის მიზანია ჩვენი ქვეყნების აყვავება, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დიადი მეგობრობის შემდგომი განვითარება, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მთელი მძლავრი ბანაკის განმტკიცება.

გაუმარჯოს ჩვენს საუკეთესო და ნაცად მეგობარსა და ძმას — დიდ ჩინელ ხალხს!

დაე ცოცხლობდეს და ჰყვავოდეს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა ძმობა და მეგობრობა — მთელი მსოფლიოს მშვიდობის მძლავრი ფაქტორი!“.

დელეგაციის გაცილებამ დიდი გულთბილობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

ბერლინიდან გამოემგზავრა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია

ბერლინი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ბერლინიდან მოსკოვს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ამხ. ა. ნ. ნესმეიანოვი, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ო. ი. ივაშჩენკო. დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეხუთე წლისთავის დღესასწაულში.

ბერლინის შენეფელდის აეროდრომზე საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია გააცილეს: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარემ ი. დიკმანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ო. გროტეოლმა, პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ულბრიხტმა, პრემიერ-მინისტრის მოადგილეებმა გ. რაუმ და პ. შოლცმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეთა პალატის თავმჯდომარემ რ. ლობედანცმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელმა წარმომადგენლებმა.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია გააცილა სსრ კავშირის ელჩმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამხ. გ. მ. პუშკინმა.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია გააცილეს აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციებმა, რომლებიც ბერლინში ამყოფებიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეხუთე წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით, აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წევრებმა.

გამცილებელთა შორის აეროდრომზე იყვნენ აგრეთვე გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის წარმომადგენლები არმიის გენერალ ა. ა. გრეჩკოს მეთაურობით, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად აეროდრომი მორთული იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, ჩამწკრივებული იყო გერმანიის სახალხო პოლიციის საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნები.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაურმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა აეროდრომზე წარმოთქვა შემდეგი სიტყვა:

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ბერლინიდან გამგზავრების დღეს ნება მომეცით დიდი მადლობა გადავუხადო მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და მისი დედაქალაქის ყველა მშრომელს გულთბილი მიღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის.

ამ დღეებში ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა დაგვეთვალიერებინა ქარხნები, შახტები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, სამეცნიერო და სხვა კულტურული დაწესებულებანი და გვესაუბრა მუშებთან, გლეხებთან, საზოგადო და კულტურულ მოღვაწეებთან. ამ გულთბილი შეხვედრებისა და საუბრებისათვის ჩვენ განსაკუთრებულ მადლობას ვუძღვნით ჩვენს გერმანელ მეგობრებს.

ჩვენ ყველგან ვნახეთ, რომ მტკიცე ბრძოლა მიმდინარეობს ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის, რომ აქ მიღწეულია სერიოზული წარმატებები, რომ განუხრელად უმჯობესდება მუშების, გლეხების, მშრომელი ინტელიგენციის კეთილდღეობა.

ჩვენ დავრწმუნდით, თუ რამდენად ძლიერია გერმანელი ხალხის მისწრაფებანი, რომ აღდგეს გერმანიის ერთიანობა მშვიდობიან და დემოკრატიულ საწყისებზე, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ მისწრაფებებს მთელი ძალით დაუჭერს მხარს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი.

ჩვენ აგრეთვე დავრწმუნდით, რომ გერმანელ ხალხში იზრდება და მტკიცდება მეგობრობის გრძნობა საბჭოთა ხალხისადმი.

გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს გერმანელი ხალხის მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული ძალების გაერთიანებას გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის ბრძოლაში!

დაე სულ უფრო მეტად იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა და გერმანელი ხალხების მეგობრობა — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბურჯი!

დარბაზობა სსრ კავშირის პეკინის საელჩოში საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

პეკინი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის ელჩმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. თ. იუდინმა დარბაზობა გამართა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეხუთე წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით.

დარბაზობას დაესწრო საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. ი. მიქოიანი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. მ. შვერნიკი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ამხ. გ. თ. ალექსანდროვი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი ამხ. დ. ტ. შეპილოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ე. ა. ფურცევა, უზბეკეთის სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ამხ. ი. ს. ნასრიდინოვა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. გ. პ. სტეპანოვი.

ჩინეთის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე ჯუ დე, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი, აგრეთვე სუნ ცინ-ლინი, ლინ ბო-ძიუი, ლი ძი-შენი, დუნ ბი-უ, ჩენ იუნი, ლო ჟუნ-ხუანი, შენ ძიუნ-ჟუ, გო მო-ჟო, ხან ჯენი, ჩენ შუ-ტუნი, პინ დე-ხუაი, დალაი-ლამა, ხუან იან-პეი, დენ სიაო-პინი, პანჩენ-ლამა, ლი ვეი-ხანი, ლი ფუ-ჩუნი და სხვები.

დარბაზობაზე აგრეთვე იყვნენ რუმინეთისა და ალბანეთის მთავრობის დელეგაციათა ხელმძღვანელები და წევრები, რომელნიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფებიან, ჩინეთში სსრ კავშირის საელჩოს თანამშრომლები, პეკინში საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში აკრედიტებული საელჩოებისა და მისიების მეთაურები, ჩინელი და უცხოელი ჟურნალისტები.

სსრ კავშირის ელჩმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. თ. იუდინმა გამარჯვება უსურვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სამარადისო ურღვევ მეგობრობას.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაურმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა. მან ილაპარაკა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დადებულ შეთანხმებებს შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის და გამარჯვება უსურვა ორი დიდი სახელმწიფოს — ჩინეთისა და სსრ კავშირის ორი დიდი ხალხის სამარადისო, ურღვევ მეგობრობას. ნ. ს. ხრუშჩოვს არაერთგზის შეაწყვეტინეს სიტყვა მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით.

დარბაზობაზე სიტყვა წარმოთქვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ.

ჯოუ ენ-ლაის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ხრუშჩოვ, ამხანაგო საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრებო, ამხანაგო ელჩო, ამხანაგებო, მეგობრებო!

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მეხუთე წლისთავის დღეებში საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ამხანაგ ხრუშჩოვის მეთაურობით ჩამოვიდა პეკინს, აქ ჩინელ ხალხთან ერთად გაატარა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის სასიხარულო დღეები და მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის ეკონომიური და კულტურული მშენებლობის მიღწევათა გამოფენის გახსნაში, აგრეთვე მოიარა ჩინეთის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ქალაქი. მთავრობის დელეგაციას, რომელმაც დიდი პატივი დაგვდო თავისი ჩამოსვლით, უსაზღვრო სიხარულით მივესალმებით. ნება მიბოძეთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და ჩინელი ხალხის სახელით უგულითადესი მადლობა მოვახსენო ჩვენს ყველაზე მახლობელ მეგობრებსა და ამხანაგებს — მთავრობის დელეგაციის მთელ შემადგენლობას.

ჩინეთში საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ყოფნის დროს ჩინეთისა და საბჭოთა მხარეებს შორის გაინართა თათბირები მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც ეხება ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობასა და საერთაშორისო მდგომარეობას. ამ თათბირებზე, რომლებმაც გულწრფელი მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა, მიღწეულ იქნა შეხედულებათა სრული ერთიანობა.

ამ თათბირებზე მიღწეული შედეგების საფუძველზე დღეს გამოქვეყნდა ერთობლივი დეკლარაცია იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას და საერთაშორისო მდგომარეობას, ერთობლივი დეკლარაცია იაპონიასთან ურთიერთობის საკითხზე და ერთობლივი კომუნიკე ერთობლივ სარგებლობაში მყოფ ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ბაზა პორტ-არტურიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულ განკარგულებაში ამ ბაზის გადაცემის შესახებ.

ეს დეკლარაციები და კომუნიკე არა მარტო აჯამებენ იმ შედეგებს, რაც მოჰყვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის განვლილი ხუთი წლის გულწრფელ თანამშრომლობას, რომელსაც საფუძვლად უდევს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, საფუძვლად უდევს შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვა და შენარჩუნება; ამ დეკლარაციებითა და კომუნიკეებით არა მარტო შეჯამებულია იმ უდიდეს წარმატებათა შედეგები, რომლებსაც ჩინეთმა და საბჭოთა კავშირმა მიაღწიეს რამდენიმე წლის მანძილზე შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში; ამ დეკლარაციებითა და კომუნიკეებით გამოვლინებულია ერთსულოვნება საბჭოთა კავშირის დიდ ხალხსა და ჩინეთის ხალხს შორის, გამოვლინებულია მათი მტკიცე მისწრაფება ორ ქვეყანას შორის ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისადმი, მათი მტკიცე გადაწყვეტილება აწარმოონ მედგარი და დაუცხრომელი ბრძოლა აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად, ბრძოლა აზიის ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული უფლებებისათვის.

ეს დეკლარაციები და კომუნიკეები აგრეთვე ცხადყოფენ, რომ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხები კვლავაც განამტკიცებენ დარაზმულობას ძმამე ქვეყნების ხალხებთან და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებთან, განახორციელებენ ლონისძიებებს ყველა ქვეყნის ხალხთა შორის მეგობრული თანამშრომლობისა და ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარების საქმეში, აგრეთვე სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთ პატივისცემის, ურთიერთ თავდაუსხმელობის, საშინაო საქმეებში ურთიერთ ჩაურევლობის, თანასწორუფლებიანობის,

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ჩინელი ხალხი მიესალმება საბჭოთა კავშირ-ჩინეთის შეთანხმებებს

პეკინი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). ჩინელი ხალხი უდიდესი სიხარულით შეხვდა ცნობას საბჭოთა მთავრობის დელეგაციისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის შეთანხმებათა ხელმოწერის შესახებ. ამ ცნობამ, რომელიც რამდენჯერმე გადასცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო რადიოსადგურმა, საყოველთაო კმაყოფილება გამოიწვია.

ყველგან — პეკინის ქარხნებში, ფაბრიკებში, სახელმწიფო დაწესებულებებსა და სასწავლებლებში — გაიმართა მშრომელთა მასობრივი მიტინგები და კრებები, რომლებზეც ხაზგასმით აღინიშნავდნენ ხელმოწერილ შეთანხმებათა დიდ მნიშვნელობას ჩინეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საქმეში შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

ჯოუ ენ-ლაის სიტყვის დასასრული

ურთიერთსარგებლობისა და „შვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების მტკიცედ დაცვის საფუძველზე დაამყარებენ და განავითარებენ ურთიერთობას აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებთან, აგრეთვე ყველა სხვა ქვეყანასთან. ჩინეთისა და საბჭოთა მთავრობებმა აგრეთვე განაცხადეს, რომ პზად არიან განახორციელონ ლონისძიებანი იაპონიასთან თავიანთი ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ მჭიდრო თანამშრომლობა ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, რაც ამ მოლაპარაკების დროს გამოვლინდა, შეესაბამება არა მარტო ჩინელი და საბჭოთა ხალხების ინტერესებს, არამედ აგრეთვე შეესაბამება აზიისა და მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესებს. დარწმუნებული ვარ, რომ დღეს გამოქვეყნებულ დეკლარაციებსა და კომუნიკეებს გულწრფელად დაუჭერენ მხარს არა მარტო ჩინელი და საბჭოთა ხალხები, არამედ მათ მხარს დაუჭერს მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი.

ამ მოლაპარაკების შედეგების საფუძველზე დღეს აგრეთვე გამოქვეყნდა ერთობლივი კომუნიკე ჩინეთ-საბჭოთა კავშირის არსებულ შერეულ საზოგადოებათა შესახებ, კომუნიკე მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობაზე მომხდარი შეთანხმების შესახებ, კომუნიკე ლანჯოუ—ურუმჩი—ალმა-ატის რკინიგზის ხაზის მშენებლობის შესახებ; მოლაპარაკების შედეგად ხელმოწერილია ახალი შეთანხმება ჩინეთისათვის საბჭოთა კავშირის კრედიტის მიცემის შესახებ, ხელმოწერილია აგრეთვე ოქმი ჩინეთის საწარმოთათვის მოწყობილობის მიწოდების გადიდების შესახებ. გარდა ამისა, საბჭოთა ხალხი საჩუქრად აძლევს ჩინელ ხალხს საჭირო მანქანებსა და მოწყობილობას მარცვლეულის ერთი დიდი სახელმწიფო მეურნეობის მოსაწყობად. ამასთან ერთად საბჭოთა მთავრობა ჩინეთის მთავრობას საჩუქრად აძლევს საბჭოთა გამოფენაზე ექსპონირებულ ჩარხებსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებს.

როგორც გამოქვეყნებული დოკუმენტები და ხელმოწერილი შეთანხმებანი, ისე საჩუქრად მიცემული მანქანები, ჩარხები და მოწყობილობა, — ყოველივე ეს მოწმობს, თუ ინტერნაციონალიზმის რა დიდი სულისკვეთებით, ზრუნვითა და დახმარებით არის გამსჭვალული საბჭოთა კავშირის მთავრობისა და ხალხის დამოკიდებულება ჩინეთის სოციალისტური მშენებლობისა და გარდაქმნის საქმისადმი.

ამ მეგობრული აქტების მაგალითით ჩინელი ხალხი ერთხელ კიდევ ღრმად რწმუნდება, რომ, ვიელით რა იმ ნათელი გზით, რომელიც საბჭოთა კავშირმა განვლო, ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია მივიღოთ საბჭოთა კავშირის მთავრობისა და ხალხისაგან მეგობრობა, თანამშრომლობა და აქტიური დახმარება. ჩინელ ხალხს ამიტომ შეუძლია ერთხელ კიდევ დარწმუნდეს, რომ, როგორც ამხანაგი ხრუშჩოვი, ამხანაგ ბულგანინს, ამხანაგ მიქოიანს, აგრეთვე დელეგაციის ყველა სხვა წევრს!

* * *

დარბაზობაზე არაერთხელ წარმოითქვა სადღეგრძელო საბჭოთა სახელმწიფოს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელთა პატივსაცემად, საბჭოთა და ჩინელი ხალხების ურღვევი მეგობრობის აღსანიშნავად.

დარბაზობამ განსაკუთრებით გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ლიოს ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობას.

ამგვარ ურთიერთობას საფუძვლად უდევს გულწრფელი სურვილი ურთიერთდახმარება გაუწიონ და ურთიერთშეუწყონ ხელი პროგრესსა და აყვავებას. მე უაღრესად მოხარული ვარ ვისარგებლო ამ შემთხვევით და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და ხალხის სახელით ჩვენი დიდი პატივისცემა და მადლობა გამოვუცხადო საბჭოთა ყველა სპეციალისტს, რომელიც იმყოფება აქ, შორს საკუთარი სამშობლოსაგან, აგრეთვე ყველას, ვინც მოდის ჩვენს ქვეყანაში იმ მიზნით, რომ დახმარება გაგვიწიოს ჩვენს მშენებლობაში, რადგან ისინი ეხმარებიან ჩვენს მუშებსა და გლეხებს, ტექნიკურ მუშაკებსა და სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკებს, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეებს, რომ უფრო სწრაფად აღადგინონ და განავითარონ ჩვენი სახალხო მეურნეობა, და ხელს უწყობენ სოციალისტური მშენებლობის საქმის შემდგომ ძლევამოსილ წინსვლას ჩვენს ქვეყანაში.

ჩინელი ხალხი ამჟამად მთელ ძალონეს აზმარს პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას. მშენებლობის წარმატებით უზრუნველყოფისათვის ჩვენ უაღრესად გულმოდგინედ უნდა ვისწავლოთ მოწინავე გამოცდილება საბჭოთა კავშირისაგან. ამას მუდამ გვასწავლის ამხანაგი მაო ძედუნი. საბჭოთა დღევანდელი დღე ჩვენი ხვალინდელი დღეა. ამ ოთხი უკანასკნელი წლის მანძილზე მრავალი ფაქტი გვიმტკიცებს, რომ დიდი საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის ბრწყინვალე მაგალითი გვინათებს გზას, ჩვენ ვალდებული ვართ შევასრულოთ როგორც საჭიროა ჩვენი დიდი ამოცანა — ავითვისოთ საბჭოთა გამოცდილება.

ამხანაგებო! ჩინეთ — საბჭოთა კავშირის ძმური მეგობრობა, რომელიც აერთიანებს 800 მილიონ კაცს და დედამიწის ტერიტორიის მეოთხედ ნაწილს, მუდმივი, ურღვევი მეგობრობაა. ვერავინ ვერ შეძლებს ჩვენს გათიშვას. ამგვარი მეგობრული ურთიერთობა დღითიდღე კვლავ უძლეველი ძალით მტკიცდება და ვითარდება, იგი განუხრელად განვითარდება მომავალ საუკუნეებსა და თაობებში!

გაუმარჯოს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის დიად, ურღვევ მეგობრობას!

მე ვსვამ საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელების სადღეგრძელოს!

ჯანმრთელობას ვუსურვებ საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრებს: ამხანაგ ხრუშჩოვს, ამხანაგ ბულგანინს, ამხანაგ მიქოიანს, აგრეთვე დელეგაციის ყველა სხვა წევრს!



თესვისწინა კულტივაცია თელავის რაიონის სოფელ კონდოლის ხტალინის სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთში. ფოტო შ. გოქაძისა.

დავაჩქაროთ თამბაქოს ნედლეულის ჩაბარება

ოჩამჩირის რაიონის სოფელ მეორე ათარის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ლ. ელექჩიანი) მეთამბაქოობის ერთ-ერთი დიდი სასოფლო-სამეურნეო არტელია აფხაზეთში. 6 ოქტომბრისათვის კოლმეურნეობაში შეტეხელი და ანემსილი იყო 2.215 ათასი ზონარმეტრი თამბაქოს ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 104,1 პროცენტს შეადგენს. თამბაქოს მოსავლის აღებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ის ბრიგადები, რომლებსაც სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეები დ. კიულიანი, ს. კოხდაქჩიანი, ვ. ვართანიანი და ფ. მინოსიანი ხელმძღვანელობენ.

კოლმეურნეობამ დამამზადებელ პუნქტს უკვე ჩააბარა 50 ტონაზე მეტი ხარისხოვანი თამბაქო. კოლმეურნეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა წელს სამშობლოს მისცენ 280 ტონა ქართული სურნელოვანი თამბაქო.

თამბაქოს მოსავლის აღების წლიური გეგმა სოფელ ჭლოუს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ 133 პროცენტით გაანაღდა. აქ წლიური გეგმის გადამეტებით აღებულია 20.000 ზონარმეტრი თამბაქოს ფოთოლი. სოფელ აკვასკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში წლიური დავალება განაღდებულია 120 პროცენტით. სოფელ მოქვის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს თამბაქოს აღება და დამზადება. უკვე ანემსილია წლიური გეგმით გათვალისწინებული 546 ათასი ზონარმეტრი თამბაქოს ფოთოლი.

კოლმეურნეობამ წელს იკისრა თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 17 ცენტნერი ხარისხოვანი თამბაქო. ცალკეულმა ბრიგადებმა და კოლმეურნეებმა უფრო მაღალი ვალდებულებანი იკისრეს. მაგალითად, მეათე ბრიგადის წევრის შ. ტუღუბას პირობაა ჰექტარზე მოიყვანოს 30 ცენტნერი ხარისხოვანი თამბაქო, ხოლო მ. ტუღუბა იბრძვის ჰექტარზე 25 ცენტნერი თამბაქოს მოყვანისათვის.

საერთოდ რაიონში თამბაქოს ნედლეულის დამზადება ჩამორჩება. წელს გეგმით 1.158,7 ტონა ნედლეული უნდა დამზადდეს. 5 ოქტომბრისათვის დამზადებული იყო 352,5 ტონა, რაც წლიური დავალების მხოლოდ 32,8 პროცენტს შეადგენს.

ეს ჩამორჩენა იმით არის გამოწვეული, რომ მთელი რიგი კოლმეურნეობები თამბაქოს ნედლეულის ჩაბარებას არ ჩქარობენ. სოფელ ახალი კინდღის კოლმეურნეობა „წინსვლას“ გეგმა შესრულებული . აქვს 12,2 პროცენტით, სოფელ კვიტოულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას — 12,1, სოფელ ჯგერდის წერეთლის სახელობის კოლმეურნეობას — 12,4 პროცენტით, ხოლო კინდღის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობა ძლიერ ჩამორჩება თამბაქოს ნედლეულის ჩაბარებაში.

საჭიროა ჩამორჩენილები გაუთანასწორდნენ მოწინავეებს და დაჩქარდეს თამბაქოს ნედლეულის ჩაბარების ტემპი.

ვ. დოხნაძე.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲪᲜ-Ი

კასპი. (საკ. კორ.). მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგურების საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიმდინარე წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით სრულიად საკავშირო პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამარჯვებულად ცნო კასპის მანქანა-ტრაქტორთა სადგური და მიაკუთვნა მესამე ფულადი პრემია.

ორ-ორი კვირის ხელფასით დაჯილდოებული არიან მტს-ის დირექტორი შ. ხორიაშვილი, მთავარი ინჟინერი გ. აბაშიძე, მთავარი აგრონომი ი. ნადირაძე, მთავარი ზოოტექნიკოსი ი. ზაქარიაშვილი და მთავარი ბუხჰალტერი ბ. დავითაშვილი.

საპატიო თემაზე

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲓᲔᲑᲐ

გასულ წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება გაზეთებისა და ჟურნალების გავრცელებაში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ. გამომცემლობებსა და რედაქციებს დაევალათ უზრუნველყონ გაზეთებისა და ჟურნალების დროზე გამოსვლა. ასრულებს რა ცენტრალური კომიტეტის მითითებას, ბევრმა გამომცემლობამ და რედაქციამ აღმოფხვრა დაგვიანება და დროულად უშვებს ჟურნალებს. მაგრამ ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან რედაქციას ხშირად მოსდის მკითხველთა წერილები, რომლებშიც ისინი კანონიერ უკმაყოფილებას გამოთქვამენ ჩვენი ჟურნალების დაგვიანებით გამოსვლის გამო.

მართლაც, ვერ დავასახელებთ თითქმის ვერც ერთ ჩვენს ჟურნალს, რომელიც დროზე, დადგენილი გრაფიკის მიხედვით გამოდიოდეს. ჟურნალების რედაქციებისა და სტამბების მოუქნელი მუშაობის შედეგად სისტემატურად ირღვევა სტამბაში მასალების ასაწყობად ჩაგზავნის, ბეჭდვის, აკინძვის გრაფიკი, რის გამო ხელისმომწერლები ჟურნალებს მომდევნო თვის დასასრულს ან უფრო გვიან იღებენ.

მივმართოთ ფაქტებს:

ჟურნალ „დროშის“ გამოსვლა 1951 წლის აგვისტოდან დაიწყო. დღემდე გამოსულია სულ 38 ნომერი და არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ მკითხველს ჟურნალი დროზე მიეღოს. „დროშის“ ყოველი ნომერი ერთი, ორი და სამი თვის დაგვიანებით გამოვიდა. მაგალითად, „დროშის“ მიმდინარე წლის იანვრის ნომერი ხელმომწერლებმა მხოლოდ მარტში მიიღეს, თებერვლის ნომერი გამოვიდა აპრილში, მარტის ნომერი — აპრილის მეორე ნახევარში და ა. შ. აგვისტოსა და სექტემბერში შედარებით გაუმჯობესდა მდგომარეობა, მაგრამ ჟურნალი „დროშა“ მაინც იგვიანებს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ბეჭდვითი სტაყვის კომბინატი, სადაც იბეჭდება „დროშა“, დროულად ვერ უზრუნველყოფს ჟურნალის მასალების აწყობას, ბეჭდვას და აკინძვას. ჟურნალის დროზე გამოსვლას განსაკუთრებით უშლის ხელს გარეკანისა და ჩასაკვრელი გვერდების ფერადი ბეჭდვის დროულად შეუსრულებლობა. მაგალითად, მიმდინარე წელს გარეკანი და ჩასაკვრელი გვერდები ფოტოცინკოგრაფიას არცერთხელ არ მოუმზადებია დანიშნული დროისათვის.

წლების მანძილზე დიდი დაგვიანებით გამოდიოდა ჟურნალი „მნათობი“. ბოლო ხანებში მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, მაგრამ ჟურნალი მაინც იგვიანებს. ეს მაშინ, როცა „მნათობს“ დროულად გამოსვლის ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვს: მას არც ილუსტრაციები სჭირდება, არც ფერადი ბეჭდვა. მისი გამოცემა სხვა ჟურნალებთან შედარებით ტექნიკურად ყველაზე ადვილია, მაგრამ ამ უპირატესობით არ სარგებლობს რედაქცია. როგორც წესი, თვის ბოლოს მზად არის ჟურნალის მხოლოდ სასიგნალო ეგზემპლარები და მკითხველებამდე ჟურნალი მხოლოდ მომდევნო თვეში აღწევს. „მნათობის“ მეცხრე ნომრის სასიგნალო ეგზემპლარები ოქტომბრის ბოლო რიცხვებში, ხოლო მთელი ტირაჟის აკინძვა 6 ოქტომბრისათვის ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო. აქედან გასაგებია, რომ ხელისმომწერლები მას ოქტომბრის შუა რიცხვებში ძლივს მიიღებენ. „მნათობის“ დაგვიანებით გამოსვლის თავიდან აცილება ადვილი შესაძლებელია, საჭიროა მხოლოდ რედაქციამ მონდომებით იმუშაოს, ზუსტად შეასრულოს ჟურნალის გამოცემის გრაფიკი და თვითეული ნომრის თემატური გეგმა.

ჩვენი ნორჩი მკითხველები ყოველთვის დიდი ინტერესით მოელიან საბავშვო ჟურნალების „პიონერის“ და „დილის“ ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას. მაგრამ მათ მოლოდინი როდი უმართლდებათ, ამ ჟურნალებს ნორჩი მკითხველები მხოლოდ მომდევნო თვეში იღებენ. „პიონერის“ და „დილის“ ყოველი ნომრის გამოშვება „ზარია ვოსტოკას“ სტამბის და რედაქციებს შორის დიდი დავის, შეხლა-შემოხლის შედეგად ხდება. სტამბის ხელმძღვანელობამ ჩვეულებად აქცია „პიონერის“ ყდის დამზადების დაგვიანება. ასეთსავე მდგომარეობაშია ჟურნალი „დილა“. მიმდინარე წლის დასაწყისში ამ ჟურნალების რედაქციებსა და „ზარია ვოსტოკას“ სტამბას შორის დაიდო ხელშეკრულება ყდების დამზადებისა და ჟურნალ „დილის“ ბეჭდვის ვადების შესახებ. მაგრამ სტამბა თითქმის არასოდეს არ ასრულებს ხელშეკრულებას. მაგალითად, „პიონერის“ მეცხრე ნომრის ყდა პირველ სექტემბრის ნაცვლად სტამბამ მხოლოდ 27 სექტემბრისათვის დაამზადა. მეათე ნომრის ყდა მზად უნდა ყოფილიყო 1 ოქტომბრისათვის, მაგრამ 7 ოქტომბრისათვის ეს სამუშაო დაწყებულიც არ იყო. ასეთივე მდგომარეობაა ჟურნალ „დილის“ ყდის დამზადებისა და ბეჭდვის საქმეში. დადებული ხელშეკრულების შესრულებაში სტამბას, სხვათაშორის, ხანდახან ხელი ეშლება იმით, რომ ჟურნალი „ნიანგი“, რომელიც იქ იბეჭდება, არაოპერატიული მუშაობის შედეგად სისტემატურად არღვევს მასალების ასაწყობად ჩაგზავნის ვადებს, რაც ხშირად იწვევს სტამბის მუშაობის საერთო გრაფიკის დარღვევას.

მოუგვარებელია ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის“ და ზოგიერთი სხვა ჟურნალის დროულად გამოცემის საქმეც. რატომღაც „კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქცია ჟურნალის გამოცემის ვადად დაუდგენია მომდევნო თვის 5 რიცხვი. ამიტომაც არის, რომ ჟურნალი დროულად ვერ აღწევს მკითხველებამდე, რაც მათს სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

რესპუბლიკის მთელი რიგი ჟურნალების რედაქციებისა და სტამბების მოუქნელი მუშაობის შედეგად იღახტა ჩვენი მკითხველების ინტერესები. ჟურნალების გამოცემის დღევანდელი მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა მზარდ კულტურულ მოთხოვნილებებს. მკითხველს სურს ჟურნალი მიიღოს დროზე და არა მაშინ, როცა მოსახერხებელია რედაქციისა და სტამბის ხელმძღვანელებისათვის.

სარედაქციო-საგამომცემლო მუშაკებმა, აგრეთვე სტამბებმა საბჭოთა მკითხველს დროზე უნდა მიაწოდონ კარგი ჟურნალები.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების დადგენილებათა განხორციელებისათვის ყვარლის რაიონის მექანიზატორებმა და კოლმეურნეებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს.

ყვარლის რაიონში მარცვლეული კულტურებიდან ხორბალი წამყვანი ადგილი უკავია. ხვნა-თესვისა და ნათესების მოვლის აგროტექნიკის გაუმჯობესების შედეგად წელს რაიონის კოლმეურნეობებმა 1,5 ცენტნერით გაზარდეს ხორბლის საშუალო მოსავლიანობა. კიდევ უფრო კარგი მაჩვენებლები აქვთ ცალკეულ კოლმეურნეობებს. ეს წარმატებები მხოლოდ დასაწყისია იმ უდიდესი რეზერვების გამოყენებისა, რომლებიც ხორბლის მოსავლიანობის გასადიდებლად მოგვეპოვება.

მეცნიერული მონაცემებით, რომლებიც გასული წლის პრაქტიკით დადასტურდა, ყვარლის რაიონში ყოველგვარ მეტეოროლოგიურ პირობებში შეიძლება ხორბლის მაღალი და მყარი მოსავლის მიღება, ამისათვის საჭიროა აგროტექნიკის ძირითადი მოთხოვნების დაცვა: მაღალხარისხოვანი თესლით თესვა, თესვის აგროვადების მტკიცედ დაცვა.

სამართლე უნდა ითქვას, რომ ჩვენ ვერც ერთ წელიწადს ვერ შევძელით თესვის აგროვადებში დამთავრება. ხორბლის მნიშვნელოვან ნაწილს დაგვიანებით ვთესავდით, ხშირად თესვა დეკემბრის ბოლო რიცხვებამდეც კი გრძელდებოდა. ასეთი ნათესი ნორმალურ განვითარებას ვერ ასწრებდა და ცუდად იზამთრებდა. მცენარეთა საგრძნობი ნაწილი ზამთარშივე იღუპებოდა. გაზაფხულზე სუსტად განვითარებულ და მეჩხერ ნათესს ვიღებდით, რაც დაბლა სწევდა მოსავლიანობას.

ეს ნაკლოვანებები კარგად გაითვალისწინეს ყვარლის რაიონის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და კოლმეურნეობებმა. წელს ხვნა მოსავლის აღებისთანავე დაიწყო და ამჟამად დასასრულს უახლოვდება. ნაწვერალის მოხვნა თითქმის ყველგან დამთავრებულია. უნდა ითქვას, რომ მოსავლის აღებისთანავე ნაწვერალის ღრმად მოხვნას (აუჩეჩავად) მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რაიონის პირობებში ხორბლის მოსავლიანობის გაზრდისათვის, მეტადრე მაშინ, როცა ხვნა წარმოებს წინასახნისიანი გუთნებით და ხვნის სიღრმე 27-29 სანტიმეტრს შეადგენს. ასეთ პირობებში მოხნული მიწა კარგად ინარჩუნებს სინესტეს, ნიადაგის ზედაპირზე ჩაცვივნული სარეველა ბალახების თესლი კი ღრმა ფენებში ექცევა, საიდანაც ვეღარ აღმოცენდება. ხნულის ზედაპირზე სარეველების გაჩენის ან ქერქის წარმოქმნის შემთხვევაში ხდება ნახნავის კულტივაცია ან აოშვა. ასეთ ნახნავში ყოველთვის შეიძლება თესვა, მას ვერ შეაფერხებს სექტემბრის მეორე ნახევრის და ოქტომბრის პირველი ნახევრის გვალვა, რომელიც ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენს რაიონში.

საქართველოს სსრ მოწინავე მექანიზატორთა თათბირის მოწოდების განხილვისას ყვარლის რაიონის მექანიზატორებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წელს საშემოდგომო თესვა ოქტომბრის პირველ ნახევარში დაამთავრონ. ამ საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მექანიზატორებსა და კოლმეურნეობებს შორის.

რაისაბჭოს აღმასკომი და სასოფლო საბჭოების აღმასკომები კონკრეტულად ხელმძღვანელობენ ვალდებულებების დროულად და მაღალხარისხოვნად განაღდებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას, ავლინებენ ნაკლოვანებებს და რაზმავენ მასებს მათი უსწრაფესად გამოსწორებისათვის. ენისლის სასოფლო საბჭომ (თავმჯდომარე ამხ. მ. ბარძიმაშვილი) შეამჩნია, რომ სოფელ გრემის გორკისა და ენისლის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობებში ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა სიმინდის მოსავლის აღება და საშემოდგომო თესვისათვის ნაკვეთების მომზადება. სასოფლო საბჭოს აღმასკომმა სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის დახმარებით კარგად შეისწავლა ორივე კოლმეურნეობის ჩამორჩენის მიზეზები და საკითხი განიხილა აღმასკომის სხდომაზე. გამოირკვა, რომ ბრიგადირები სუსტად მუშაობდნენ, ხოლო კოლმეურნეთა გარკვეული ნაწილი თავს არიდებდა მინდვრის სამუშაოებს. აღმასკომმა მემინდვრეობის ბრიგადებში დასახმარებლად გაგზავნა დეპუტატები და აქტივისტები, რამაც კარგი შედეგი გამოიღო, თუ მანამდე სიმინდის აღებასა და ნაკვეთების გაწმენდაში 100-150 კოლმეურნე მონაწილეობდა, ახლა ყოველდღიურად სამუშაოდ 200-300 კოლმეურნე გამოდის.

კარგად მოაწყეს მუშაობა გავაზის, შილდისა და ახალსოფლის სასოფლო საბჭოებმა და სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიებმა. ისინი საქმით, პრაქტიკულად ეხმარებიან კოლმეურნეობათა გამგეობებს კოლმეურნეთა დარაზმვის საქმეში.

ახლა გაცხოველებული ტემპით წარმოებს სიმინდის მოსავლის აღება, ნაკვეთების გასუფთავება. რაიონში წელს პირველად იქნა გამოყენებული სიმინდის ასაღები კომბაინი, რომელმაც მოსავალი უკვე აიღო პირველ 25 ჰექტარზე. ამ რთულ მანქანაზე მუშაობენ ცნობილი კომბაინერები გიორგი ხუციშვილი და გიორგი ლალიაშვილი.

საშემოდგომო ხორბლის თესვა რაიონის მტს-ებმა და კოლმეურნეობებმა სექტემბრის მეორე ნახევრიდან დაიწყეს, 10 ოქტომბრისათვის თესვის გეგმა შესრულებული იყო 47 პროცენტით. საშემოდგომო თესვა ფართოდ არის გაჩაღებული ყველა კოლმეურნეობაში, ამ საქმეს რაიონში ემსახურება ორი მტს-ი მრავალი ტრაქტორით, 50-ზე მეტი სათესით და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით. ხვნა-თესვაზე გამოყენებულია აგრეთვე მუშა ბირუტაყვი.

რაიონის ბევრმა მექანიზატორმა თავი ისახელა საშემოდგომო ხვნა-თესვაში. ყვარლის მტს-ის № 2 სატრაქტორო ბრიგადამ (ხელმძღვანელი ცნობილი მექანიზატორი ს. ლოლიაშვილი) და ენისლის მტს-ის № 4 სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ახალგაზრდა მექანიზატორი ბ. ბერიაშვილი) უკვე დაამთავრეს საშემოდგომო ხვნა, აძეამად მზრალად ხნავენ, ამასთანავე გაცხოველებით აწარმოებენ მოხნული ნაკვეთების თესვისწინა დამუშავებასა და თესვას.

საშემოდგომო ხვნა-თესვაში მუშაობის სანიმუშო მაგალითებს იძლევიან ტრაქტორისტები ბ. ჯანიკაშვილი, ა. ზარდიაშვილი, ე. გელაძე, ვ. ყუშიტაშვილი, შ. ადომლიშვილი, ბ. მირიანაშვილი და სხვები.

ყვარლის მტს-ის ცნობილი მექანიზატორი სიმონ ბუთიაშვილი შესანიშნავად დაეუფლა კომბაინერის პროფესიას, წელს „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით 580 ჰექტარზე აიღო პურეული და 683 ტონა მარცვლეული გალეწა, რითაც საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ს. ბუთიაშვილი უბნის მექანიკოსია. მისი სატრაქტორო ბრიგადები ახალსოფლის ლენინის და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებს ემსახურებიან და ამჟამად შეუფერხებლად თესავენ პურეულს.

რაიონის კოლმეურნეობებში თითქმის მთელ ფართობზე ხორბლის ცნობილი ჯიში — ლაგოდეხის გრძელთავთავა ითესება. კოლმეურნეობებმა დროულად მოიმარაგეს ხარისხიანი თესლი. საჭირო 13.600 ცენტნერი ხორბლის თესლის ნაცვლად, კოლმეურნეობებში მომარაგებული და სათეს კონდიციაზე აყვანილია 16.360 ცენტნერი მაღალხარისხოვანი თესლი. გარდა ამისა, კოლმეურნეობებს ზაგოტზერნოდან გადაცვლით გამოაქვთ 500 ცენტნერი ხორბლის თესლი სათესლე ნაკვეთებზე დასათესად ჯიშთა განახლების მიზნით.

თესვაში ფართოდ გამოყენებულია ისეთი პროგრესული მეთოდი, როგორიც არის ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად თესვა. ამ წესით უკვე დათესილია 1.000 ჰექტარზე მეტი. გადაწყვეტილია ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად დაითესოს არანაკლებ 6.000 ჰექტარისა ანუ მთელი დასათესი ფართობის 60 პროცენტი.

საშემოდგომო თესვაში დაწინაურდნენ ჭიკაანის მალენკოვის სახელობის (თავმჯდომარე შ. მანძულაშვილი), ახალსოფლის ლენინის სახელობის (თავმჯდომარე ნ. ახოშვილი), შილდის კუიბიშევის სახელობის (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ვ. ცისკარიშვილი) და სხვა კოლმეურნეობები.

აღნიშნულმა კოლმეურნეობებმა უზრუნველყვეს მემინდვრეობის და სატრაქტორო ბრიგადების შეთანხმებული მუშაობა და მექანიზმების მთელი ტევადობით გამოყენება. აქ მოწინავე მექანიზატორები ნ. კურდღელაშვილი, პ. მოდებაძე, ვ. დაქიურიძე და სხვები ღამეც კი თესავენ.

საშემოდგომო თესვაში არის სერიოზული ნაკლოვანებები, რაც უმთავრესად მექანიზმების არასრულად გამოყენებით და აგროტექნიკის გამარტივებით გამოიხატება. მაგალითად, ყვარლის მტს-ის ტრაქტორისტმა ამხ. ბუხრაშვილმა, რომელიც „დტ-54“ მარკის ტრაქტორს მართავს, დღემდე მხოლოდ 20 ჰექტარი მოხნა, ხოლო ილო ნანოშვილის იმავე მარკის ტრაქტორი ტექნიკური უწესივრობის გამო დღემდე გამოყენებულიც არ ყოფილა.

მანქანები ზოგჯერ თვით კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა დაუდევრობის შედეგად ცდება. 26 სექტემბერს ენისლის მტს-ის № 4 სატრაქტორო ბრიგადის 2 სათესი მანქანა, რომლებიც ენისლის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. ბზობიძე) მუშაობს, მთელ დღეს გაცდა იმის გამო, რომ თესლი მინდორში არ ჩაიტანეს. თესლის დაგვიანებით მიწოდების გამო სათესები გაცდა აგრეთვე საბუის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. ჩიტეიშვილი).

ზოგიერთმა კოლმეურნეობამ დღემდე ვერ უზრუნველყო საკმაო სათესლე მასალის გაწმენდა და კონდიციამდე აყვანა. თესლების გაწმენდას აჭიანურებენ მთისძირის ჭავჭავაძის სახელობის (თავმჯდომარე ს. ღლონტი), საბუის კიროვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობები.

საშემოდგომო ხვნა-თესვის ამ გადამწყვეტ დღეებში არც ისე იშვიათია შემთხვევა, რომ ტრაქტორები და სათესები სათბობისა და საწვავ-საცხებლის უქონლობის გამო გვიცდება.

ამ საქმეში რაიონს სჭირდება სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრაქტიკული დახმარება.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა უკვე ინახულა რაიონის 87 მოწინავე მუშაკმა. ამჟამად ფართო პროპაგანდა წარმოებს გამოფენაზე მიღებული გამოცდილების დანერგვისათვის, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხორბლის მოყვანაში კოლმეურნე მეცნიერის ტ. მალცევის მეთოდის გამოყენებას. გადაწყვეტილია ყვარლისა და ენისლის მტს-ებში საამისოდ გუთნების გადაკეთება და ამ შემოდგომიდანვე მალცევის მეთოდის გამოყენება მცირე ფართობზე მაინც— დაკვირვების მოსახდენად.

ყვარლის რაიონის მექანიზატორებსა და კოლმეურნეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება და უახლოეს დღეებში დაამთავრონ საშემოდგომო თესვა. რაისაბჭოს აღმასკომი და სასოფლო საბჭოები აქტიურად დაეხმარებიან მათ ამ დიდი ამოცანის წარმატებით შესრულებაში.

მ. დავითაშვილი,
ყვარლის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის IX სესია

პოლიტიკური კომიტეტის სხდომა

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ დღის სხდომაზე დაიწყო ერთსა და იმავე დროს დღის წესრიგის ორი პუნქტის განხილვა: „მთელი შეიარაღებული ძალებისა და ყველა იარაღის რეგულირება, შეზღუდვა და თანაზომიერი შემცირება: განიარაღების კომისიის მოხსენება“ და „შეიარაღების შემცირებისა და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის საკითხზე საერთაშორისო კონვენციის (ხელშეკრულების) დადების შესახებ“ (პუნქტი, რომელიც გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შეიტანა საბჭოთა კავშირის დელეგაციამ).

ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი წინანდელი პოზიცია განიარაღებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხებზე და დასვეს ბევრი კითხვა, რომლებიც ეხება საბჭოთა რეზოლუციის პროექტის ტექსტის თითქოს „ბუნდოვან ადგილებს“.

ინგლისის წარმომადგენლის ლოიდის სიტყვა ძირითადად მიეძღვნა ინგლის-საფრანგეთის წინადადებათა ჩამოყალიბებას განიარაღების საკითხზე, რომლებსაც შეიცავს ინგლისის 1954 წლის 21 მაისის მემორანდუმი და ინგლის-საფრანგეთის 1954 წლის 11 ივნისის მემორანდუმი.

საფრანგეთის წარმომადგენელმა მოკმა იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა წინადადებანი შესაძლებელს გახდიან, რომ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დამლევამდე მიღებულ იქნას „შეთანხმებული ტექსტი“. ამავე დროს მოკმა თავი აარიდა საბჭოთა წინადადებების უშუალო განხილვას, დასჯერდა რა იმას, რომ დააყენა მთელი სერია კითხვებისა ამ წინადადებათა შესახებ.

პოლიტიკური კომიტეტის დღის სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური ა. ი. ვიშინსკი, რომელმაც დაწვრილებით ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის პოზიცია შეიარაღების შემცირებისა და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის საკითხში, აგრეთვე უპასუხა ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა გამოსვლებზე.

თავისი სიტყვის დასაწყისში ა. ი. ვიშინსკიმ ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა სიტყვებში იყო ტენდენცია მიეცათ რაც შეიძლება მეტი შეკითხვა საბჭოთა რეზოლუციის პროექტის შესახებ იმ მიზნით, რომ ამ შეკითხვებზე მიეღოთ დადებითი ან უარყოფითი პასუხი. ამავე დროს არც ერთს და არც მეორეს სრულიადაც არ გამოუჩენიათ სურვილი გასცილებოდნენ თავიანთ წინანდელ პოზიციებს შეიარაღების შემცირებისა და ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის საკითხზე.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა, როცა შემოჰქონდა 30 სექტემბრის თავისი რეზოლუციის პროექტი, იმას ითვალისწინებდა, რომ საფრანგეთ-ინგლისის მიმდინარე წლის 11 ივნისის წინადადება ზოგიერთი ცვლილებით არ ეწინააღმდეგება პრინციპებს, რომლებსაც საბჭოთა მთავრობა იცავს ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების შესახებ.

ამა წლის 22 სექტემბრის სამახსოვრო ბარათში ამერიკის შეერთებული შტატების 9 ივლისის მემორანდუმის პასუხად საბჭოთა მთავრობამ აღნიშნა, რომ იგი იმ აზრის არის, რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის მთავრობა, ცდილობს ომის საფრთხის შემცირებას და შეიარაღების ტვირთის შემსუბუქებას, ორივე მთავრობა უნდა ცდილობდეს მიაღწიონ შეთანხმებას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, სასტიკი საერთაშორისო კონტროლის დამყარებას ამ აკრძალვასთან დაკავშირებით და მიაღწიონ იგრეთვე შეთანხმებას სახელმწიფოთა ჩვეულებრივი შეიარაღების არსებითი შემცირების შესახებ. საბჭოთა მთავრობას, როგორც ეს უკვე აღინიშნა ზემოთ, არაერთხელ შეუტანია ასეთი წინადადებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

რას ითვალისწინებდა ამ დრო საბჭოთა მთავრობა? იგი იმას ითვალისწინებდა, რომ ასეთი წინადადებანი შეესაბამებიან ხალხთა სულ უფრო მზარდ მოთხოვნებს — ბოლო მოეღოს გამაღლებულ შეიარაღებას და მათ შორის ატომური იარაღის დარგში, განხორციელდეს გადაუდებელი ღონისძიებანი, რათა კაცობრობა ვიხსნათ გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხისაგან.

როგორც საბჭოთა მთავრობა აღნიშნავდა მიმდინარე წლის 22 სექტემბრის ხსენებულ სამახსოვრო ბარათში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელზე, იმ გარემოებამ, რომ დღემდე არ მოხერხდა ასეთი შეთანხმების მიღწევა, ვერ უნდა შეამციროს დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის საჭირო შეთანხმების მისაღწევად განხორციელებულ ღონისძიებათა მნიშვნელობა.

ასეთი პოზიციის სისწორე, როგორც ცნობილია, დადასტურა ჟენევის თათბირმაც, რომელმაც ამასთანავე დაამტკიცა სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკების ეფექტიანობა.

მაგრამ რა პირობებში?

როცა ეს სახელმწიფოები ნამდვილად დაინტერესებული არიან მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებით, რადგან ამას შეიძლება მოჰყვეს დიდმნიშვნელოვანი დადებითი შედეგი და, გარდა ამისა, შეუძლია ხელი შეუწყოს ბევრი სხვა უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოწესრიგებას აზიაშიც და ევროპაშიც. მე მგონია, რომ ეს ახლა უკვე სრულიად უდავოა.

აღგას რა ამ გზას, საბჭოთა მთავრობამ შესაძლოდ მიიჩნია—როგორც ახლა ცნობილია — წარმოედგინა თავისი ახალი წინადადებანი სახელმწიფოთა შეიარაღების შემცირების საკითხსა და ატომის საკითხზე, საფუძვლად დაუდო რა მათ საფრანგეთ-ინგლისის 1954 წლის 11 ივნისის წინადადებანი.

აი სად არის ამ წინადადებათა წყარო. აი რით აიხსნება, რომ ჩვენ მზად ვიყავით საფუძვლად დაგვედო საფრანგეთ-ინგლისის 1954 წლის 11 ივნისის წინადადებანი.

აგრეთვე უნდა აღვნიშნო, რომ, არ უქვემდებარებს რა ამ წინადადებებში დასახული პროგრამის შესრულებას ომს, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება ომის შესახებ, რომ სახელმწიფოებმა უთუოდ თქვან უარი ატომური იარაღის გამოყენებაზე — რასაც ჩვენ დღემდე მტკიცედ მოვითხოვდით, — რაც დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ატომური იარაღის სრული აკრძალვისა და სახელმწიფოთა შეიარაღებიდან მისი ამოღებისაკენ, საბჭოთა მთავრობას კვლავ მიაჩნია, რომ ასეთი შეთანხმების მიღწევას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ყველა იმ ღონისძიებათა გაადვილებისა და დაჩქარებისათვის, რასაც ითვალისწინებს კონვენცია, რომელსაც ჩვენ მოვითხოვთ.

საბჭოთა მთავრობას მით უფრო საჭიროდ მიაჩნია ეს, რომ ატომური და წყალბადის იარაღი სულ უფრო დამანგრეველი ხდება, და ამის არ დანახვაც არ შეიძლება.

ამასთანავე არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ, ყოველნაირად აქებენ რა ამ „დამანგრეველი ძალის“ სიმძლავრეს, ხაზგასმით აღნიშნავენ რა ამ დარგში ფითქოს ამერიკის შეერთებული შტატების უპირატესობას, ქადაგებენ რა ამ გამანადგურებელი ძალის ატომური და წყალბადის ბომბების სახით გამოყენების უაღრესად სენსაციურ გეგმებს, ავტორები აღვიგებენ და შშვიდობის ხაქმისათვის სულ უფრო საშიშად აჩაღებენ ომის ისტერიას, რომელიც დაძაბულს ხდის პოლიტიკურ ატმოსფეროს.

შემთხვევითი რიღია, რომ ამ არაჯანსაღ და საშიშ პოლიტიკას ემსახურება მრავალრიცხოვანი წიგნის მაკულატურა, რომლითაც, სამწუხაროდ, სავსეა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარი, მაკულატურა, როგორიც არის ნიუ-იორკში ამას წინათ გამოსული წიგნი სათაურით „წყალბადის ბომბი“, სადაც 235 გვერდზე სიამოვნებით ლაპარაკობენ ატომგულის იარაღის დამანგრეველი ძალის თემაზე.

როგორც უკვე ითქვა, განაგრძო ა. ი. ვიშინსკიმ, საბჭოთა კავშირის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტს საფუძვლად უდევს ინგლისისა და საფრანგეთის 1954 წლის 11 ივნისის წინადადებანი. ამასთან აღნიშნულია, რომ კონვენცია (ხელშეკრულება) უნდა შეიცავდეს ამ პროექტში ჩამოყალიბებულ ძირითად დებულებებს. ამ დებულებათა განხილვა ცხადყოფს, რომ ისინი ძირითადი ნიშნებით ემთხვევიან საფრანგეთისა და ინგლისის 1954 წლის 11 ივნისის შესაბამის წინადადებებს.

ილაპარაკა რა იმაზე, თუ რა განსხვავებაა საბჭოთა წინადადებასა და ინგლის-საფრანგეთის წინადადებებს შორის, ა. ი. ვიშინსკიმ თქვა, რომ სამხედრო საჭიროებისათვის ასიგნობათა შემცირების შესახებ საბჭოთა წინადადებაში ნათქვამია, რომ ეს ასიგნობანი, ისევე როგორც შეიარაღებული ძალები, მცირდება ორ ეტაპად — ორმოცდაათ-ორმოცდაათი პროცენტით. ინგლის-საფრანგეთის წინადადებებში არ არის აღნიშნული სამხედრო საჭიროებისათვის ასიგნობათა შემცირება.

მიმართა რა საფრანგეთის დელეგატს, ა. ი. ვიშინსკიმ მოაგონა, რომ ტერმინი „შეთანხმებული ნორმები“ აღებულია ინგლის-საფრანგეთის 11 ივნისის წინადადებებიდან. უნდა ითქვას, განაგრძო საბჭოთა დელეგატმა, რომ იქ არაფერია ნათქვამი 1952 წლის დონეზე. ახლა მეც შემეძლო მეკითხა ბ-ნ მოკისა და ბ-ნ ლიდისათვის: „აგვიხსენით, 11 ივნისის წინადადებებში რატომ ლაპარაკობთ შეთანხმებულ ნორმებზე და არ იხსენიებთ დონეს?“. იმიტომ ხომ არა, რომ მიგაჩნიათ, რომ ამის დაკონებით მოთხოვნა უგუნურება, მიზანშეუწონელი იქნებოდა, რომ საჭიროა ვეძებოთ სხვა გზები, რათა შესაძლებელი გახდეს მივაღწიოთ შეთანხმებულ ნორმამდე, ე. ი. ისეთ ნორმას, რომელიც შეთანხმებულია მხარეებს შორის.

მოგიწოდებთ დაადგეთ ამ გზას. ჩვენ ვიღებთ ამას. ჩვენ მოველით, რომ თქვენ ახლა შეთანხმების მხრივ კი გააღელიერებთ იმას, რაც მოითხოვეთ, არამედ, პირიქით, ეცდებთ აღმოიფხვრათ შესაძლო დანარჩენი უთანხმოება, ის, რაც არსებითი არ არის, რამაც შეიძლება გაგვიჭიროს, და წინ წამოაყენებთ იმას, რაც არსებითია, რამაც შეიძლება შეგვათანხმოს. რაც შეეხება შეიარაღების შემცირების და ატომური იარაღის აკრძალვის ვადებს, თქვა შემდეგ ა. ი. ვიშინსკიმ, ეს ვადები საკმაოდ ნათლად არის ჩამოყალიბებული საბჭოთა კავშირის წინადადებებში. ინგლის-საფრანგეთის წინადადებებში ეს ვადები პირდაპირ არ არის დადგენილი, არამედ ექვემდებარებიან საკონტროლო ორგანოს განცხადებას.

შეეხო რა საკონტროლო ორგანოს შექმნისა და ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის ერთდროისობას, სსრ კავშირის წარმომადგენელმა მოაგონა სხდომას, რომ ერთ დროს ზოგნი მოითხოვდნენ, რომ ჯერ დაარსებულიყო საკონტროლო ორგანო, ხოლო შემდეგ განხორციელებულიყო ატომური იარაღის აკრძალვა. ზოგნი კი მოითხოვდნენ რომ ჯერ აკრძალულიყო ატომური ბომბი, ხოლო შემდეგ დაარსებულიყო საკონტროლო ორგანო. საბჭოთა კავშირმა მოითხოვა ერთსა და იმავე დროს მომზდარიყო ატომური იარაღის აკრძალვა და მუდმივი საკონტროლო ორგანოს დაარსება. ინგლის-საფრანგეთის წინადადებებისაგან განსხვავებით საბჭოთა კავშირი მოითხოვს, რომ ატომური იარაღის აკრძალვა და შეიარაღებიდან მისი ამოღება განხორციელდეს ერთსა და იმავე დროს შეთანხმებული ნორმების მეორე ნახევრით ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებასთან ერთად.

ა. ი. ვიშინსკიმ, განმარტა რა სსრ კავშირის წინადადება, რომ შეიარაღების შემცირების პირველ ეტაპზე დაარსდეს საკონტროლო საერთაშორისო კომისია და მუდმივი საერთაშორისო საკონტროლო ორგანო დაარსდეს მეორე ეტაპზე, როცა შეიარაღება შემცირდება შეთანხმებული ნორმების დანარჩენი 50 პროცენტით, თქვა:

არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ საკონტროლო ორგანო უნდა ეაარსდეს არა მარტო ჩვეულებრივი შეიარაღების საკონტროლოდ, არამედ აგრეთვე ატომის წარმოების საკონტროლოდაც, და რომ ასეთი ორგანოს შექმნა უნდა განხორციელდეს ატომური და წყალბადის იარაღის წარმოების შეწყვეტისა და ასეთი იარაღის ამოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად. მანამდე, ე. ი. როცა გვაქვს მხოლოდ ერთი ამოცანა — შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შესამცირებლად სახელმწიფოების მიერ ვალდებულებათა შესრულებისადმი მეთვალყურეობა, — უნდა მოქმედებდეს, როგორც საბჭოთა კავშირის რეზოლუცია მოითხოვს, დროებითი საერთაშორისო საკონტროლო კომისია, რომელსაც ექნება ზემოაღნიშნული ფუნქციები.

დასასრულ ა. ი. ვიშინსკიმ განაცხადა, რომ, შემოაქვს რა თავისი წინადადებანი, რომლებსაც საფუძვლად უდევს საფრანგეთ-ინგლისის წინადადებანი, საბჭოთა დელეგაციას სურს დარწმუნებული იყოს, რომ სწორედ ამ გზით შეიძლება წარმატების მიღწევა, რასაც ესოდენ ზურვალედ ესწრაფვის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, რომ სხვა დელეგაციები თავის მხრივ დაადგებიან ამ გზას, ეცდებიან რა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარმოდგენილი მთელი რიგი სხვა ქვეყნები, შეთანხმებულ გადაწყვეტილებებს მიაღწიონ საერთაშორისო თანამედროვეობის ისეთ დიდმნიშვნელოვან პრობლემაზე, როგორიც არის პრობლემა, რომელსაც ეხება ჩვენი ოცდაათი სექტემბრის რეზოლუციის პროექტი, — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების შესახებ. ეს არის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი, ყველაზე საარსებო ამოცანა, რომელიც ეხება ყველა ხალხის, მთელი კაცობრიობის სასიცოცხლო ინტერესებს. ახლა დადგა დრო, როცა აღიარების შესაბამისად კიდევაც უნდა ვიმოქმედოთ. ჩვენი სურვილია, რომ პოლიტიკურმა კომიტეტმა წარმატებით გაართვას თავი ამ დიდმნიშვნელოვან ამოცანას.

პროპოკაციული თავდასხვა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის შენობაზე

პარიზი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, გუშინ საღამოს პარიზის მე-10 ოლქში მოხდა შეიარაღებული თავდასხმა კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის შენობაზე. თავდასხმის მონაწილენი მიმდინარეობდა პარტიული კრება. სამმა ფაშისტმა ბანდიტმა ოთახში ყუმბარა შეაგდო, რომლის აფეთქებითაც დაიჭრა 4 კაცი. ფაშისტები თავისი საბიზღარი საქმის ჩადენის შემდეგ ავტომობილით მიიმალნენ. ამ დივერსიამ საფრანგეთის საზოგადოებრივობის მკვეთრი აღშფოთება გამოიწვია.

განთავისუფლებულ ხანოიში

პეკინი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო იუწყება, ხანოიში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის მისი გადაცემის შემდეგ სრული წესრიგია. ფოსტა და ტელეგრაფი ჩვეულებრივად მუშაობენ. მოქმედებს ქალაქის ელექტროსადგური და წყალსადენი. პირველი მატარებელი ხანოიდან გავიდა იმავე დღის 4 საათზე, როცა ქალაქი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელში გადავიდა. მეორე დღეს მუშაობა განაახლა ტრამვაის სამსახურმა. გზა, რომელიც ხანოის ხაიდუონგთან აკავშირებს, ამჟამად აღდგენილია. ტელეფონი მუშაობს, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგებმა თან წაიღეს სულ ცოტა 500 ტონა მოწყობილობა. მუშაობენ მაღაზიები.

ხანოის მოსახლეობა განთავისუფლებას დღესასწაულობს. პარკები გაჭედილია ხალხით. ეს სრული კონტრასტია იმ ტერორის ვითარებასთან, რომელიც სუფევდა ხანოიში მის გადაცემამდე.

ხანოის სამხედრო-ადმინისტრაციული კომიტეტი, რომლის ღონისძიებებიც მხარს უჭერს ქალაქის მთელი მოსახლეობა, აწესრიგებს ქალაქის ცხოვრებას, თუმცა ფრანგებმა თან წაიღეს მოძრავი ქონების მეტი ნაწილი სხვადასხვა დაწესებულებიდან და ბევრი მათგანი დანაღმეს.

სამეარი სამზადისი დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). ადნ-ის საგენტოს ცნობით, ადენაუერის მთავრობა აპირებს უახლოეს დროში დაიწესოს მთავრობის კონტროლი დასავლეთ გერმანიის ეკონომიკისადმი, რათა გადაიყვანოს ეკონომიკა სამხედრო რელსებზე. ბონის ხელისუფალთა ამ გეგმების თანახმად, დასავლეთ გერმანიაში უნდა დაარსდეს შეიარაღების საკითხთა კომისრის თანამდებობა ან შეიარაღების საკითხთა სახელმწიფო უწყება, რომელიც შეიარაღების ჰიტლერული უწყების მსგავსი იქნება და რომელიც უნდა განახორციელოს იარაღის წარმოების ცენტრალური მართვა.

შეიარაღების საკითხთა კომისრის პოსტზე განზრახულია დაინიშნოს ბონის „სპეციალურ საკითხთა“ მინისტრი შტრაუსი და მიეცეს მას სრული რწმუნებანი კონტროლს დაქვემდებარებული სამხედრო ეკონომიკის შესაქმნელად.

ახალი აეროდრომის მშენებლობა ირანში

თეირანი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „ჟურნალ დე ტეგერანი“ იუწყება, რომ საოჯალაქო ავიაციის სამმართველომ დასახა პროგრამა ააშენოს სათადარიგო საერთაშორისო აეროდრომი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შეუძლია შეცვალოს მეხრაბადის აეროდრომი (თეირანის ახლოს), და რომ ერთი წლის წინათ შეიქმნა კომისია, რომელიც შედგება სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს, სამოქალაქო ავიაციის საკითხთა საერთაშორისო ორგანიზაციისა და „ტექნიკური თანამშრომლობის“ განხორციელების ამერიკა-ირანის შერეული კომისიის წარმომადგენელთაგან, — ამ საკითხის შესასწავლად და აეროდრომის მშენებლობის ადგილის ამოსარჩევად.

აგრეთვე გადაწყდა, აღნიშნავს გაზეთი, რომ ისპაანის ჩაიონი შესაფერხა ახალი საერთაშორისო აეროდრომის ასაშენებლად. „ტექნიკური თანამშრომლობის“ განხორციელების ამერიკა-ირანის შერეული კომისია დათანხმდა საჭირო კრედიტები მისცეს აეროდრომის მშენებლობის ხარჯების დასაფარავად იმ თანხის ანგარიშში, რომელიც ასიგნებულია „რეკონსტრუქციის პროგრამის განსახორციელებლად“. ფინანსთა სამინისტრომ აეროდრომის ასაგებად გამოჰყო 12 მილიონი რიალი.

ინდოეთის კინემატოგრაფიის მოღვაწეები თბილისში

თბილისის საზოგადოებრიობა გულთბილად შეხვდა ინდოეთის რესპუბლიკის კინემატოგრაფიის მოღვაწეთა დელეგაციას, რომელიც საქართველოს დედაქალაქში იმყოფება. სტუმრები კვლავ ეცნობიან ქალაქის კულტურულ ცხოვრებას.

დელეგაციის წევრები იყვნენ თბილისის კინოსტუდიაში „ქართული ფილმი“. აქ მათ აჩვენეს ამ სტუდიის ნაწარმოები ახალი მხატვრული ფერადი ფილმი „ჭრიჭინა“ და კინოჟურნალის უკანასკნელი გამოშვება, რომელიც ძიეძღვნა ინდოეთის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა დელეგაციის ყოფნას საქართველოში, დელეგაციისა, რომელსაც მეთაურობდა ინდოეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ქ-ნი მ. ჩანდრასეკხარი. ინდოეთის კინოს ოსტატები დაესწრნენ აგრეთვე მხატვრული ფერადი ფილმების „ისინი მთებიდან ჩამოვიდნენ“ და „ქართული ბალეტის ოსტატების“ პავილიონურ გადაღებას.

ინდოეთის კინემატოგრაფიის მოღვაწეები იყვნენ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, დაესწრნენ სპექტაკლ „ოტელოს“ შ. რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში.

გუშინ შ. რუსთაველის სახელობის კინოთეატრში მოეწყო ინდოეთის რესპუბლიკის კინემატოგრაფიის მოღვაწეთა შეხვედრა თბილისელ მაყურებლებთან. ამ შეხვედრამ ცხადყო, რომ სულ უფრო იზრდება და მტკიცდება საბჭოთა ხალხისა და ინდოეთის ხალხის მეგობრული ურთიერთობა.

სტუმრები გაემგზავრნენ ქალაქ გორში. აქ ისინი იყვნენ ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმში, აგრეთვე დათვალიერეს გორის რაიონის ერთერთი კოლმეურნეობა.

ინდოეთის კინომოღვაწეთა დელეგაციის წევრები მიიღო საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ა. ლ. გუნიამ. საუბრის დროს მან ინდოელ სტუმართა თხოვნით უამბო მათ ქართული სოციალისტური კულტურის განვითარებას შესახებ. (საქდესი).

საბჭოთა კალათბურთელები ეგვიპტეში

ქაირო, 13 ოქტომბერი. (საკდესი). სსრ კავშირის ელჩმა ეგვიპტეში დ. ს. სოლოდმა გუშინ დარბაზობა გამართა იმის გამო, რომ ეგვიპტეში იმყოფება თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი, რომელმაც ხუთი შეხვედრა მოაწყო ეგვიპტის კალათბურთელებთან.

დარბაზობას დაესწრნენ საბჭოთა სასპორტო დელეგაციის წევრები, ეგვიპტის ოფიციალური პირები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, ეგვიპტის საზოგადოებრიობისა და სასპორტო წრეების წარმომადგენლები.

საბჭოთა და ეგვიპტელმა კალათბურთელებმა ერთმანეთს გადასცეს საჩუქრები. საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა და ეგვიპტის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მოადგილემ ვაჭბინ სიტყვები წარმოთქვეს. საბჭოთა კალათბურთელების გუნდის თამაშმა ეგვიპტეში, თქვა ვაჭბინმ, დიდი სარგებლობა მოუტანა ეგვიპტელ სპორტსმენებს. საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის კალათბურთელთა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები ხელს შეუწყობს სპორტული ურთიერთობის განმტკიცებას ორივე ქვეყანას შორის.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

ლენინგრადი. 13 ოქტომბერი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშების მესამე შეჯიბრება ფეხბურთში. ლენინგრადის „ზენიტი“ თავის უკანასკნელ მატჩში შეხვდა დედაქალაქის „სპარტაკს“. ასპარეზობა დამთავრდა „სპარტაკის“ გამარჯვებით — ანგარიშით 1:0.

ამრიგად, ლენინგრადის „ზენიტმა“ დაამთავრა სსრ კავშირის XVI ჩემპიონატის შეხვედრები და 24 თამაშიდან 23 ქულა შეაგროვა.

კლდეზემცოცავთა შეჯიბრება

თბილისში დამთავრდა კლდეზემცოცავთა პირად-გუნდური შეჯიბრება ჩრდილოეთ ოსეთის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სპორტსმენთა მონაწილეობით. ეს ასპარეზობა მიმდინარეობდა კომკავშირის ხეივანზე. მას სპორტის მრავალი მოყვარული დაესწრო.

შეჯიბრების პირველი დღე აღინიშნა ჩრდილოეთ ოსეთის გუნდის წარმომადგენლის გ. აბდურამანოვის წარმატებით, რომელმაც კლდეზე ცოცვის ტექნიკურ შესრულებაში მოიპოვა 220 ქულა, დროისათვის — 83,4 ქულა და ვაუთა შორის პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა გ. გელაშვილი (საქართველო), მესამეზე — ა. ჩატინიანი (სომხეთი).

მეორე დღეს ქალთა შორის თავი ისახელა საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა ე. მჭედლიშვილმა. მან კლდეზე ცოცვის ტექნიკურ შესრულებაში მოიპოვა 230 ქულა, დროისათვის — 120 ქულა და პირველი ადგილი დაიკავა. 307,28 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა ა. მერნენკო (საქართველო), მესამეზე — ე. სააკიანი (სომხეთი, 301,26 ქულა).

ორი დღის საინტერესო ბრძოლის შემდეგ წინ იყვნენ საქართველოს სპორტსმენები, მაგრამ 12 ოქტომბრის შეხვედრებში დაკარგეს უპირატესობა და გუნდური პირველი ადგილი.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვა ჩრდილოეთ ოსეთის კლდეზემცოცავთა კოლექტივმა. მეორე ადგილზე გამოვიდა საქართველოს გუნდი, მესამეზე — სომხეთის გუნდი.

სურათზე: პირად შეჯიბრებაში გამარჯვებულები. მარცხნიდან — ე. მჭედლიშვილი (საქართველო) და გ. აბდურამანოვი (ჩრდილოეთ ოსეთი). ზევით — კლდეზე ცოცვის ერთერთი მომენტი.

ამხანაგური შეხვედრა

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში თბილისის „დინამოსა“ და ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდებს შორის.

შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა ოფიცერთა სახლის გუნდის სასარგებლოდ 2:0. მეორე ტაიმის დასაწყისში დინამოელებმა სასუხო ბურთი გაიტანეს. გაიმარჯვა თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის ფეხბურთელთა გუნდმა ანგარიშით 2:1.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურაკიძე.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

დღეს და ყოველდღე
რსფსრ დამსახურებული არტისტის
იური დურაოვის
გასტროლები
(შერეული ცხოველების ჯგუფი)
დიდი სანცირკო პროგრამა
მონაწილეობენ
საბჭოთა ცირკის წამყვანი ოსტატები

კვირას, 17 ოქტომბერს
ღლის ორი საბავშვო ნარმოდგენა
საღამოს წარმოდგენების დასაწყისი
8 ს. 30 წ. დღის წარმოდგენების
დასაწყისი 12 ს. და 3 ს.
ბილეთები იყიდება სახელმწიფო ცირკის
სალაროებში. მიიღება შეკვეთები
კოლექტიურ დასწრებაზე.

დისერტაციის დაცვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

(ძერჟინსკის ქ. № 8)

27 ოქტომბერს დღის 3 საათზე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **დავით თომას-ძე ხარაზოვი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**О некоторых линейных уравнениях в гильбертовых пространствах**“.

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექცია ინსტიტუტის დაუსწრებელ სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ქ. თბილისში ინსტიტუტის შენობაში (უნივერსიტეტის ქ. № 32) იწარმოებს კონსულტაცია 17, 31 ოქტომბერს, 14, 28 ნოემბერს, 12, 26 დეკემბერს დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

კონსულტაციებზე ქ. თბილისის და მის ახლო რაიონებში მცხოვრებ დაუსწრებელ სტუდენტთა გამოცხადება სავალდებულოა.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საშუალო სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრალური სკოლა აცხადებს, რომ 1954 წლის 1 ნოემბრიდან გაიხსნება ბავშვთა ბაგების სამედიცინო დების ერთწლიანი კურსები.

კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ ბავშვთა ბაგის სამედიცინო დის წოდება. ისინი ისარგებლებენ ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს საშუალო სამედიცინო პერსონალს.

კურსებზე უგამოცდოდ ჩაირიცხებიან საშუალო განათლების მქონე მდედრობითი სქესის პირნი 17-დან 45 წლამდე ასაკისა.

კურსებზე ჩარიცხული მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით.

კურსებზე ჩასარიცხად წარმოდგენილ უნდა იქნას განცხადება შემდეგი სიბუთების დართვით: საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა (დედანი), ავტობიოგრაფია, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, დაბადების მოწმობა, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, სამი ცალი ფოტოსურათი (ზომით 3×4).

სიბუთების მიღება წარმოებს 30 ოქტომბრამდე თბილისის 51-ე საშუალო სკოლის შენობაში, მელიქიშვილის ქ. № 2 (მეორე სართული) საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე.

მოქალაქე **ნატალია გიორგის ასულმა ბარამიძემ**, მცხოვრებმა სოფელ მარტყოფში, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ **ვლადიმერ გერმანეს-ძე ბარამიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგია.

მოქალაქე **ეთერ აკაკის ასულმა ლეფაევამ**, მცხოვრებმა ფალიაშვილის შესახ. № 4, აღძრა საქმე ქამოს ქ. 113-ბ მცხოვრებ მოქალაქე **ფრიდონ ვარლამის-ძე ხუციასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ავქსენტი ჯანჯღავა, შვილი ეთერ, ძმა პეტრე, და ნატა, რძალი ვერა, ძმისწული ელენ დუკიები, სიძე ივანე, დისწული ქეთო აბრამოვები იუწყებიან **თამარ კოზმას ასულ ჯანჯღავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15, 16-X, 7 ს. გამოსვენება 17-X, 3 ს. ნავთლუღ-კახეთის ქ. № 4.

მეუღლე ბაბუცა, შვილები ვიოლა ჯემალ, ედიმერ, დები მატრონე, სონია, ოლია, ლიზა, ნადია, ძმები იოსებ, შალვა ოჯახებით, სიდედრი ალექსანდრა, რძლები სონია, ოლია იუწყებიან **კირილე ალექსის-ძე ხურციძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-X, 7 ს. გამოსვენება 17-X, 4 ს. კლარა ცეტკინის ქ. № 8.

შვილები ნადია, შაქრო, ნიკო, ზურაბ შოშიაშვილები, რძლები ევნია, ლიზა, სიძე ივანე ბურდულაძე და შვილიშვილები იუწყებიან **ეკატერინე სტეფანეს ასულ ხელაშვილი-შოშიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-X სოფელ ვაქირში (სოღნაღის რ.).

დები მარო, ლუბა, ძმა ნიკოლოზ, რძალი მარო გეგელაშვილები, დისწულები თამარ ცინცაძე ვერა, თამარ, ნინ